- Savarese, G., Carpinelli, L., Stornaiuolo, G., Bifulco, S., Bruno, G., & Navarra, M. (2024). A Brief Report on the Correlation between Empathy and Gender Sensitivity among Italian Medical University Students. Preprints.Org. <https://doi.org/10.20944/preprints202402.0360.v1>
- Schulze, H., Nacke, M., Gutenbrunner, C., & Hadamitzky, C. (2018). Worldwide assessment of healthcare personnel dealing with lymphoedema. *Health Economics Review*, 8(1). <https://doi.org/10.1186/s13561-018-0194-6>
- Schwartz, R., Shanafelt, T. D., Gimmmler, C., & Osterberg, L. (2020). Developing institutional infrastructure for physician wellness: Qualitative Insights from VA physicians. *BMC Health Services Research*, 20(1). <https://doi.org/10.1186/s12913-019-4783-9>
- Spiers, J., Buszewicz, M., Chew-Graham, C., Dunning, A., Taylor, A. K., Gopfert, A., ... Riley, R. (2021). What challenges did junior doctors face while working during the COVID-19 pandemic? A qualitative study. *BMJ Open*, 11(12). <https://doi.org/10.1136/bmjopen-2021-056122>
- Spiers, J., Buszewicz, M., Chew-Graham, C., & Riley, R. (2018). The Experiences of General Practitioner Partners Living With Distress: An Interpretative Phenomenological Analysis. *Journal of Health Psychology*, 25(10–11), 1439–1449. <https://doi.org/10.1177/1359105318758860>
- Sun, L., Zhang, Y., He, J., Qiao, K., Wang, C., Zhao, S., ... Yang, Y. (2022). Relationship between psychological capital and depression in Chinese physicians: The mediating role of organizational commitment and coping style. *Frontiers in Psychology*, 13. <https://doi.org/10.3389/fpsyg.2022.904447>
- Tan, A. J., Mancini, V., Gross, J. J., Goldenberg, A., Badcock, J. C., Lim, M. H., ... Preece, D. A. (2022). Loneliness Versus Distress: A Comparison of Emotion Regulation Profiles. *Behaviour Change*, 39(3). <https://doi.org/10.1017/bec.2022.18>
- Theeke, L. A., Mallow, J., Gianni, C., Legg, K., & Glass, C. (2015). The experience of older women living with loneliness and chronic conditions in Appalachia. *Journal of Rural Mental Health*, 39(2). <https://doi.org/10.1037/rmh0000029>
- Turner, R. E., & Archer, E. (2020). Patient-centred care: The patients' perspective – A mixed-methods pilot study. *African Journal of Primary Health Care and Family Medicine*, 12(1). <https://doi.org/10.4102/PHCFM.V12I1.2390>
- van Hof, K. S., Dulfer, K., Sewnaik, A., Baatenburg de Jong, R. J., & Offerman, M. P. J. (2024). The first steps in the development of a cancer-specific patient-reported experience measure item bank (PREM-item bank): towards dynamic evaluation of experiences. *Supportive Care in Cancer*, 32(2). <https://doi.org/10.1007/s00520-023-08266-5>
- Walsh, G., Hayes, B., Freeney, Y., & McArdle, S. (2019). Doctor, how can we help you? Qualitative interview study to identify key interventions to target burnout in hospital doctors. *BMJ Open*, 9(9). <https://doi.org/10.1136/bmjopen-2019-030209>
- Wei, Y., Tang, J., Zhao, J., Liang, J., Li, Z., & Bai, S. (2023). Association of loneliness and social isolation with mental disorders among medical residents during the COVID-19 pandemic: A multi-center cross-sectional study. *Psychiatry Research*, 327. <https://doi.org/10.1016/j.psychres.2023.115233>
- Winkel, A. F., Robinson, A., Jones, A., & Squires, A. (2018). Physician Resilience: A Grounded Theory Study of Obstetrics and Gynaecology Residents. *Medical Education*, 53(2), 184–194. <https://doi.org/10.1111/medu.13737>
- Xu, R. H., Wong, E. L. yi, Lu, S. Y. jun, Zhou, L. M., Chang, J. H., & Wang, D. (2020). Validation of the Toronto Empathy Questionnaire (TEQ) Among Medical Students in China: Analyses Using Three Psychometric Methods. *Frontiers in Psychology*, 11. <https://doi.org/10.3389/fpsyg.2020.00810>
- Xu, W., Pan, Z., Li, Z., Lu, S., & Zhang, L. (2020). Job burnout among primary healthcare workers in rural china: A multilevel analysis. *International Journal of Environmental Research and Public Health*, 17(3). <https://doi.org/10.3390/ijerph17030727>
- Yagci, H., Dayapoglu, N., & Karasahin, O. (2021). Evaluation of Stress and Burnout Levels of Healthcare Professionals Working in COVID-19 Services. *Mersin Üniversitesi Tıp Fakültesi Lokman Hekim Tıp Tarihi ve Folklorik Tıp Dergisi*, 11(2). <https://doi.org/10.31020/mutftd.896858>

Yuguero, O., Melnick, E. R., Marsal, J. R., Esquerda, M., & Soler-Gonzalez, J. (2018). Cross-sectional study of the association between healthcare professionals' empathy and burnout and the number of annual primary care visits per patient under their care in Spain. *BMJ Open*, 8(7). <https://doi.org/10.1136/bmjopen-2017-020949>

Zainab, S. (2023). Frequency of Burnout Syndrome in Doctors During COVID-19 Pandemic in a Tertiary Care Hospital. *Isra Medical Journal*, 15(2), 60–64. <https://doi.org/10.55282/imj.oa1357>

Zhang, Z., Lu, Y., Yong, X., Li, J., & Liu, J. (2020). Effects of occupational radiation exposure on job stress and job burnout of medical staff in xinjiang, China: A cross-sectional study. *Medical Science Monitor*, 27. <https://doi.org/10.12659/MSM.927848>

Zhao, R., Liu, F., & Zhu, K. (2020). Establishment of an Evaluation Index System of Competencies for Graduating Students in General Practice Medicine. <https://doi.org/10.21203/rs.3.rs-54659/v2>

Zheng, Q., Yang, K., Zhao, R. J., Wang, X., Ping, P., Ou, Z. H., ... Qu, M. (2022). Burnout among doctors in China through 2020: A systematic review and meta-analysis. *Heliyon*. <https://doi.org/10.1016/j.heliyon.2022.e09821>

Ziegler, E., Martin-Misener, R., Rietkoetter, S., Baumann, A., Bougeault, I. L., Kovačević, N., ... Bryant-Lukosius, D. (2023). Response and Innovations of Advanced Practice Nurses During the COVID-19 Pandemic: A Scoping Review. *International Nursing Review*, 71(2), 250–275. <https://doi.org/10.1111/inr.12884>

ასერტული სათემო მკურნალობა და მისი მნიშვნელობა თანამედროვე
ფსიქიკურ ჯანდაცვაში

Assertive Community Treatment and Its Importance in Modern Mental Health Care

<https://doi.org/10.52340/healthecosoc.2025.09.01.05>

მიშიკო დუმბაძე^{1a}

Mishiko Dumbadze^{1a}

¹ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

¹ Ilia State University, Tbilisi, Georgia

^a mishiko.dumbadze.1@iliauni.edu.ge

<https://orcid.org/0009-0000-0443-1121>

აბსტრაქტი

შესავალი: ასერტული სათემო მკურნალობა (ასმ) წარმოადგენს ინტენსიურ, მულტიდისციპლინარულ გუნდზე დაფუძნებულ და პაციენტზე ორიენტირებულ მიდგომას, რომელიც მიზნად ისახავს მძიმე ფსიქიკური აშლილობების მქონე პირების მხარდაჭერას თემში. კვლევის მიზანია მკითხველს გააცნოს ასერტული სერვისის სტრუქტურა და მისი როლი ფსიქიკურ ჯანდაცვაში როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ კონტექსტში. **მეთოდოლოგია:** კვლევის პირველ ეტაპზე განხილულ იქნა საერთაშორისო ლიტერატურა და კვლევები ასმ-ის ეფექტურობის შესახებ, რომლებიც მოძიებულ იქნა PubMed, Google Scholar და UpToDate მონაცემთა ბაზებში. ინფორმაციის დამუშავება განხორციელდა მეორეული მონაცემთა ანალიზის მეთოდით. მეორე ეტაპზე, ასმ-ის ფუნქციონირების უკეთ გასააზრებლად, ჩატარდა სიღრმისეული, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ თბილისში არსებული ასმ სერვისის ფსიქიატრთან. ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია გაანალიზდა და შედარებულ იქნა საერთაშორისო გამოცდილებასთან. **შედეგები:** ასერტული სათემო მკურნალობა (ასმ) ეფექტურია როგორც ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში, ასევე პაციენტთა რეჰოსპიტალიზაციის შემცირებაში. ის ხელს უწყობს პაციენტთა ფუნქციურ რეაბილიტაციასა და კრიზისული მდგომარეობების დროულ მართვას. ამასთან, ინტენსიური და პაციენტზე მორგებული მიდგომა მნიშვნელოვნად ამცირებს სტაციონარულ მკურნალობაზე დამოკიდებულებას და ზრდის პაციენტთა დამოუკიდებელი ცხოვრების უნარებს. **დასკვნა:** ასმ-ის მოდელის ფართოდ დანერგვა ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემაში უზრუნველყოფს პაციენტებისთვის ხელმისაწვდომ და ინტენსიურ მომსახურებას, რაც მათ საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობას აძლევს და დადებითად აისახება ცხოვრების ხარისხსა და მკურნალობის შედეგებზე.

საკვანძო სიტყვები: ასერტული სათემო მკურნალობა, სათემო ფსიქიკური ჯანდაცვა, ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისები, რეჰოსპიტალიზაციის შემცირება, მულტიდისციპლინარული გუნდი, თემზე დაფუძნებული ზრუნვა, ფსიქიკური აშლილობა.



ციტატა: მიშკო დუმბაძე. ასერტული სათემო მკურნალობა და მისი მნიშვნელობა თანამედროვე ფსიქიკურ ჯანდაცვაში. ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 2025; 9 (1)

Abstract

Introduction: Assertive Community Treatment (ACT) is an intensive, multidisciplinary, and patient-centered approach aimed at supporting individuals with severe mental illnesses within the community. The objective of this study is to introduce readers to the structure of ACT services and their role in mental healthcare in both international and local contexts. **Methodology:** In the first phase of the study, international literature and research on the effectiveness of ACT were reviewed, sourced from PubMed, Google Scholar, and UpToDate databases. The data were analyzed using secondary data analysis methods. In the second phase, to gain a better understanding of ACT's functionality, an in-depth, semi-structured interview was conducted with a psychiatrist from an ACT service in Tbilisi. The obtained information was analyzed and compared with international experiences. **Results:** Assertive Community Treatment (ACT) has proven to be effective in improving mental health and reducing patient rehospitalization rates. It facilitates functional rehabilitation and timely crisis management. Moreover, its intensive and patient-centered approach significantly reduces dependence on inpatient care and enhances patients' ability to live independently. **Conclusion:** The widespread implementation of the ACT model in mental health systems ensures accessible and intensive services for patients, enabling their integration into society and positively impacting their quality of life and treatment outcomes.

Keywords: Assertive Community Treatment, community mental healthcare, mental health services, reduction of rehospitalization, interdisciplinary team, community-based care, severe mental illness.

Quote: Mishiko Dumbadze. Assertive Community Treatment and Its Importance in Modern Mental Health Care. Health Policy, Economics and Sociology, 2025; 9 (1)

შესავალი

ფსიქიკური ჯანმრთელობა ადამიანის ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი ასევე დიდ როლს ასრულებს ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით. ფსიქიკური ჯანმრთელობა (ფჯ) და ფსიქიკური კეთილდღეობა დიდწილად განსაზღვრავს ადამიანის, ოჯახის, თემისა და, ზოგადად, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს, რადგან ის ანიჭებს ადამიანს უნარს გახდეს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი.

ჯანმოს მონაცემებით, მსოფლიოს მოსახლეობის მეოთხედს ცხოვრების რაღაც ეტაპზე განუვითარდება ფსიქიკური ან ნევროლოგიური დარღვევები. მათი შეფასებით, 2019 წელს მსოფლიო მასშტაბით 970 მილიონ (თითქმის ყოველ მერვე) ადამიანს უფიქსირდებოდა ფსიქიკური აშლილობის რომელიმე სახით გარკვეული ტიპის გამოვლინება (WHO, 2019).

საქართველოში ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების წილი დაავადებათა გავრცელების სტრუქტურაში 2,5%-ს შეადგენს და მზარდი ტენდენციით ხასიათდება. 2013 წელს ფსიქიკური აშლილობების პრევალენტობის მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე შეადგენდა 1536-ს, ხოლო ინციდენტობის მაჩვენებელი 167.8-ს (ვერულავა, 2016). საგულისხმოა, რომ ფსიქიკური აშლილობების შესახებ ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია ზუსტად ვერ ასახავს რეალურ მდგომარეობას და ეს რიცხვი შესაძლოა დარეგისტრირებულ დაავადებულთა რაოდენობაზე გაცილებით დიდი იყოს, რაც განპირობებულია ქვეყანაში დაავადებათა აღრიცხვიანობის არასრულყოფილი სისტემის არსებობით, ასევე სოციალური სტიგმით (ვერულავა, სიბაშვილი, 2015).

გარდა პიროვნული ტანჯვისა, რასაც ფსიქიკური დაავადებები იწვევს, დიდია მათი სოციალური თუ ეკონომიკური ტვირთი. ამის გამო, კვლავ აქტუალური რჩება ისეთი ეფექტური ფსიქიკური სერვისების დანერგვა და განვითარება მოსახლეობისთვის, რაც ერთი მხრივ შეამცირებს ამ დაავადებების ტვირთს საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე, ხოლო, მეორე მხრივ, შეამსუბუქებს ფსიქიკური დაავადებების მქონე პირების ყოფას.

ფსიქიკური ჯანდაცვის განვითარებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო სათემო სერვისების განვითარება. ტრადიციული, ინსტიტუციონალიზებული მიდგომის საპირისპიროდ წინა პლანზე გადმოვიდა პიროვნებაზე ორიენტირებული ზრუნვა და

პაციენტების სათემო გარემოში ინტეგრაციის მნიშვნელობა. ისტორიული თვალსაზრისით, სათემო სერვისების გაჩენა დაკავშირებულია დეინსტიტუციონალიზაციის პროცესთან, რომელიც განსაკუთრებით აქტუალური გახდა ფსიქოტროპული მედიკამენტების გაჩენის შემდეგ. ამ პერიოდში ფსიქიატრიული დაწესებულებების შემცირება და ალტერნატიული, თემზე დაფუძნებული სერვისების განვითარება წინა პლანზე წამოიწია. 1960-70-იან წლებში დასავლეთის ქვეყნებში დაიწყო ფსიქიკურ ჯანდაცვაში სათემო ცენტრების დანერგვა, სადაც პაციენტებს შეეძლოთ როგორც სამედიცინო, ასევე სოციალური დახმარების მიღება (Thornicroft et al., 2025).

სათემო ფსიქიკური ჯანდაცვა მოიცავს ლოკალურ პოპულაციაში ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობისთვის საჭირო შემდეგ პრინციპებსა და პრაქტიკას:

- პოპულაციაში არსებულ საჭიროებებზე მუშაობა მისაღები და ხელმისაწვდომი ინსტრუმენტებით

- ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანების მიზნებსა და ძლიერ მხარეებზე დაყრდნობა

- ფართო და ეფექტური კავშირების, სერვისებისა და რესურსების ქსელის შექმნა

- აქცენტის გაკეთება მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და აღდგენაზე ორიენტირებულ სერვისებზე

სათემო მკურნალობა, ტრადიციულ ინსტიტუციურ მიდგომასთან შედარებით, მოიაზრებს პაციენტების სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტში განხილვას და მოიცავს პირველად, მეორეულ და მესამეულ პრევენციას. იგი პაციენტებს სთავაზობს როგორც პიროვნებაზე, ისე თემზე დაფუძნებულ სერვისებს და ზრუნვის ფართო სისტემას მულტიდისციპლინარული გუნდის მეშვეობით. სათემო სერვისი უზრუნველყოფს უნივერსალურ ხელმისაწვდომობას ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებზე და აერთიანებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ, ხარჯ-ეფექტურ ინტერვენციებს, რომლებიც შორეულ პერსპექტივას ითვალისწინებს და პაციენტის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება. გარდა ამისა, ეს მიდგომა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ ჯგუფებს, რომლებიც ტრადიციული სერვისების მიღმა რჩებიან, მათ შორის რასობრივ და ეთნიკურ უმცირესობებს, უსახლკაროებს, მართლმსაჯულების სისტემაში მყოფ პირებს, იმიგრანტებსა და დევნილებს. სათემო მკურნალობა აერთიანებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მედიცინას აღდგენაზე ორიენტირებულ მიდგომასთან, რაც პაციენტებს არა მხოლოდ სამედიცინო დახმარებას, არამედ სრულფასოვან სოციალური ინტეგრაციისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობას აძლევს (Thornicroft et al., 2025).

საგულისხმოა, რომ სათემო მკურნალობის მიწოდების დროს ძირითადი აქცენტი იმ დეფიციტზე კი არ კეთდება, რაც პიროვნებას აღენიშნება ფსიქიკური დაავადების გამო, არამედ პიროვნების ძლიერ მხარეებზე, შესაძლებლობებსა და უპირატესობებზე. ეს თავის მხრივ აღდგენის შესახებ თანამედროვე ხედვის გამოძახილია, რომლის თანახმადაც ფსიქიკური აშლილობების მქონე პირთა აღდგენა მიმართულია სიმპტომების არა სრულ რემისიაზე არამედ ამ სიმპტომების პირობებში პიროვნების ზრდაზე და დამაკმაყოფილებელი ცხოვრების ხარისხის მიღწევაზე. ეს მიდგომა თავის მხრივ ხელს უწყობს სტიგმის შემცირებასაც (Thornicroft et al., 2025).

ფართოდ არის ცნობილი, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობები განპირობებულია სოციალური და გარემო კონტექსტით, აქედან გამომდინარე სათემო სერვისები მნიშვნელოვანია, ვინაიდან მოიცავს თემს მისი ფართო გაგებით, ეძებს და შეისწავლის გარემოში არსებულ რისკ-ფაქტორებს (environmental adversities) და ოჯახების, სოციალური კავშირებისა და ორგანიზაციების ძლიერ მხარეებს. ამას გარდა, სათემო სერვისები ორიენტირებულია: ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, საცხოვრებელი სივრცის უზრუნველყოფაზე (housing), მხარდაჭერით დასაქმებაზე (supported employment), სოციალურ და სამართლებრივ სერვისებზე და თანასწორ-მხარდამჭერთა სერვისზე (Thornicroft et al., 2025).

სათემო სერვისები მოიცავს მულტიდისციპლინარულ გუნდს, რომელიც აერთიანებს: ფსიქიატრებს, ფსიქოლოგებს, სოციალურ მუშაკებს და სხვ. ამ მიდგომის მიზანია პაციენტის

საჭიროებებზე ადაპტირებული, ინდივიდუალური ზრუნვის უზრუნველყოფა, სტიგმის შემცირება და რეაბილიტაციის პროცესის გამარტივება (Thornicroft et al., 2025).

სათემო სერვისის ერთ-ერთი ტიპია ასერტული სათემო მკურნალობა (ასმ). იგი მულტიდისციპლინარულ გუნდზე (მდგ) დაფუძნებული მიდგომაა, რომელიც განკუთვნილია ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისის მიწოდებისთვის პაციენტების ბუნებრივ საცხოვრებელ გარემოში (სახლში, თავშესაფარში, სამეზობლოში). ასმ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მძიმე ფსიქიკური დაავადებების მქონე პირთათვის, რომელთაც აღენიშნებათ ხშირი რეციდივები და გადაუდებელი ჰოსპიტალიზაციის მაღალი რისკი. ტერმინი "მძიმე ფსიქიკური დაავადებები" ძირითადად მოიცავს შემდეგ ფსიქიკურ აშლილობებს: შიზოფრენია, შიზოაფექტური აშლილობა, მძიმე დეპრესია, ბიპოლარული აშლილობა და პოსტტრავმული სტრესული აშლილობა (UpToDate, 2025).

მიუხედავად პროგრესისა, სხვადასხვა ქვეყანა განვითარების განსხვავებულ ეტაპზე იმყოფება. განვითარებულ ქვეყნებში სათემო სერვისები ინტეგრირებული სისტემის ნაწილია, ხოლო დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში მისი დანერგვა კვლავ გამოწვევად რჩება.

საყურადღებოა, რომ მსოფლიო ტენდენციას დეინსტიტუციონალიზაციის შესახებ საქართველოც იზიარებს. საქართველოში ფსიქიკური ჯანდაცვის განვითარების ჭრილში 2011-2015 წლების ეროვნული სტრატეგიის მთავრი მიზანი იყო დეინსტიტუციონალიზაცია, რის შედეგადაც 2011 წელსვე ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი დაწესებულება, ასათიანის ფსიქიატრიული საავადმყოფო დაიხურა (Makhashvili & van Voren, 2013). შემდეგ, ეტაპობრივად დაიწყო უკვე სათემო სერვისების განვითარებაც. ფსიქიკური სფეროს დაფინანსებას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ 2018 წლიდან 2024 წლამდე ფსიქიკური ჯანდაცვაზე გამოყოფილ ბიუჯეტში საგრძნობლადაა გაზრდილი სათემო სერვისების დაფინანსების წილი (გორდეზიანი, 2024). აქედან გამომდინარე, წინამდებარე კვლევის ფარგლებში საინტერესოდ მივიჩნიე საქართველოში არსებული ასერტული სათემო სერვისის მუშაობის სპეციფიკის შესწავლა.

წინამდებარე კვლევა სამეცნიერო ხასიათისაა და მიზნად ისახავს ასერტული სათემო მკურნალობის არსის, მისი გუნდის სტრუქტურის, როლისა და მნიშვნელობის განხილვას. გარდა ამისა, კვლევაში აღწერილია ასერტულ სათემო სერვისში ჩართული მულტიდისციპლინური გუნდის (მდგ) წევრთა ფუნქციები, ის პაციენტთა კატეგორიები, რომლებსაც აღნიშნული მიდგომა ყველაზე ეფექტურად ეხმარება, და მიმოხილულია კვლევები, რომლებიც ასერტული სათემო მკურნალობის ეფექტურობას ადასტურებს.

ამასთან, კვლევა ახალ ინფორმაციას ქმნის საქართველოში არსებული ასერტული სათემო სერვისის შესახებ. კერძოდ, წარმოაჩენს მისი მუშაობის სპეციფიკურ ასპექტებს ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, ასახავს მიღწევებს და მიმოხილავს იმ ბარიერებსა და გამოწვევებს, რომლებიც საქართველოში ამ სერვისის განვითარებას თან ახლავს.

შესაბამისად, წინამდებარე კვლევა საინტერესო იქნება ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მომუშავე პროფესიონალებისთვის: ფსიქიატრებისთვის, ფსიქიატრიის ექთნებისთვის, ფსიქოლოგებისთვის, სოციალური მუშაკებისთვისა და ჯანდაცვის სპეციალისტებისთვის, ასევე, იმ პაციენტებისთვის, რომლებიც სარგებლობენ ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებით და ყველა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროთი დაინტერესებული პირისთვის.

მეთოდოლოგია

კვლევის პირველ ეტაპზე მოძიებულ იქნა ლიტერატურა და საერთაშორისო კვლევები ასერტული სათემო მკურნალობის შესახებ შემდეგ მონაცემთა ბაზებში: PubMed, Google Scholar და UpToDate. ძიების პროცესში გამოყენებული იყო შემდეგი საკვანძო ფრაზები: „ასერტული სათემო მკურნალობა“, „სათემო მკურნალობის ეფექტურობა“ და „სათემო ფსიქიკური ჯანდაცვა“.

სტატიების შერჩევა განხორციელდა მათი შესაბამისობის მიხედვით კვლევის მიზნებსა და საკვლევ საკითხთან. გამოირიცხა ნაშრომები, რომელთა ხელმისაწვდომობა შეზღუდული

იყო ან არასრული სახით იყო წარმოდგენილი. შერჩეული მასალებიდან მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეგროვდა და დამუშავდა მეორეული მონაცემთა ანალიზის მეთოდით.

კვლევის შემდეგ ეტაპზე ადგილობრივი კონტექსტისა და საქართველოში ასერტული სათემო მკურნალობის ფუნქციონირების შესწავლის მიზნით დაიგეგმა და ჩატარდა სიღრმისეული, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ თბილისში არსებული ასერტული სათემო სერვისის ფსიქიატრთან. მიღებული ინფორმაცია დამუშავდა და გაანალიზდა საერთაშორისო ლიტერატურასთან შედარების საფუძველზე, და წარმოდგენილია წინამდებარე კვლევაში.

ლიტერატურის მიმოხილვა

ასერტული სათემო სერვისის ზოგადი მიმოხილვა

ასერტული სათემო მკურნალობის (ასმ) მოდელის ფესვები სათავეს იღებს 1970-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში დაწყებული დეინსტიტუციონალიზაციის მოძრაობიდან. მას შემდეგ, რაც შეიქმნა სათემო ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრები და მკურნალობის ძირითადი ნაწილი საავადმყოფოებიდან თემში გადავიდა, აღმოჩნდა, რომ მძიმე ფსიქიკური დაავადებების მქონე პირთა მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ახერხებდა ეფექტურ ადაპტაციას. ისინი ხშირად არ სარგებლობდნენ სათემო ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამებით, არ იღებდნენ დანიშნულ მედიკამენტებს და ხშირად მოიხმარდნენ ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს, რაც ზრდიდა მათი რეციდივებისა და ჰოსპიტალიზაციის რისკს (Geller, 1992). აქედან გამომდინარე, ასმ-ის მოდელმა 2 მიზანი დაისახა:

- საზოგადოებაში / თემში მძიმე ფსიქიკური დაავადებების მქონე იმ პირთა ცხოვრების სტაბილიზაცია, რომლებიც ცხოვრობენ დამოუკიდებლად ან ნახევრად დამოუკიდებლად, მაგრამ არიან ფსიქიატრიული ჰოსპიტალიზაციის, დაპატიმრების ან სახლ-კარის დაკარგვის მაღალი რისკის ქვეშ;
- ამ პაციენტთა ფსიქოსოციალური ფუნქციონირების მხარდაჭერა, რაც მოიცავს თვითმოვლისა და დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების განვითარებას, სოციალურ ურთიერთობათა ხარისხის გაუმჯობესებას და სოციალური როლის შესრულებას (მაგალითად, მუშაობა ან სწავლა).

ასმ მოდელის ქვაკუთხედი არის ის კონცეფცია, რომ თუ პაციენტი ვერ მიდის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში მკურნალობისთვის, მაშინ მკურნალობა თავად უნდა მივიდეს პაციენტთან, სადაც არ უნდა იყოს ის (მაგალითად, საკუთარ ბინაში, ნათესავთან, კაფეში ან პარკში). ასმ-ის მიზანი ასევე არის ინტენსიური დახმარების მიწოდება და პაციენტთან ხშირი კონტაქტების უზრუნველყოფა, რომლებიც საჭიროა ცხოვრების სტაბილიზაციისთვის. აქედან გამომდინარე ასმ-ში ჩართული მულტიდისციპლინური გუნდი ახორციელებს სერვისის პირდაპირ მიწოდებას პაციენტისთვის და ნაკლებად ხდება პაციენტის გადამისამართება მის ფარგლებს გარეთ მყოფ ფსიქიკური ჯანმრთელობის პროვაიდერებთან (თუ ამას აუცილებლობა არ მოითხოვს). გამომდინარე იქედან, რომ ეს სერვისი მიმართულია მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტებზე, ასმ-ში ჩართული მდგ მართავს ინტენსიურ შეხვედრებს (შესაძლოა ამ შეხვედრებს ყოველდღიური ხასიათი ჰქონდეს) და მჭიდროდ თანამშრომლობენ, რათა დაგეგმონ ვიზიტები და განიხილონ პაციენტთა მდგომარეობის დინამიკა. განსხვავებით ამბულატორიული მოვლის მოდელისგან, სადაც თითოეულ კლინიცისტს ინდივიდუალური მიდგომა აქვს პაციენტებთან, ასმ-ის სერვისში ჩართული გუნდის წევრები ერთობლივად იზიარებენ პასუხისმგებლობას პაციენტის მართვაზე (UpToDate, 2025). საერთო მიზნების მისაღწევად, ასმ-ის გუნდის წევრები ზრუნავენ შემდეგი მომსახურებების კომბინირებულ მიწოდებაზე:

- ფსიქიატრიული დარღვევებისა და თანმხლები ფიზიკური დაავადებების მკურნალობა
- პაციენტების ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკული საჭიროებების უზრუნველყოფა (მაგალითად, ქირისა და კომუნალური გადასახადების გადახდა, საყიდლები, საკვების მომზადება)

- საზოგადოებრივი რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (მაგალითად, ბანკთან თანამშრომლობა, ადვოკატის მომსახურება, პირადობის მოწმობის დამზადება და სხვ.)
- რეაბილიტაციური სერვისების მიწოდება ფუნქციონირების გაუმჯობესებისთვის

ფსიქიატრიული აშლილობების სტაბილიზაცია ხშირად გულისხმობს რეგულარულ სახლის ვიზიტებს, რათა გაკონტოლდეს მკურნალობა წახალისდეს პაციენტის მიერ მედიკამენტების მიღება. კვლევებმა აჩვენა, რომ ეს მეთოდი აუმჯობესებს მედიკამენტური თერაპიისადმი დამყოლობას (Valenstein et al., 2013). თემში პაციენტებთან ხშირი კონტაქტი საშუალებას იძლევა, ასმ-ის გუნდის წევრებმა დროულად აღმოაჩინონ რეციდივის ადრეული ნიშნები და სწრაფად ჩაერიონ, რათა თავიდან აიცილონ პაციენტის მდგომარეობის სრული გაუარესება და ჰოსპიტალიზაციის საჭიროება (Novacek & Raskin, 1998).

ყოველდღიური ცხოვრების საჭიროებები მდგ-ის მიერ უზრუნველყოფილია პრაქტიკული დახმარებით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს უკვე აღმოცენებული საჭიროებების დაკმაყოფილებას ან სამომავლო პრობლემის თავიდან აცილებას, მაგალითად: პაციენტთან ერთად კომუნალური გადასახადების გადახდა, საყიდლებზე ერთობლივად სიარული ან საცხოვრებელი სივრცის დალაგება და ორგანიზება. დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა ასევე გულისხმობს ასმ-ის გუნდის მჭიდრო თანამშრომლობას პაციენტს მხარდამჭერებთან, როგორებიც არიან: ოჯახის წევრები, ნათესავები, მეზობლები. მათთან თანამშრომლობა ორმხრივად სასარგებლოა, რადგან მხარდამჭერებს შეუძლიათ დაეხმარონ პაციენტებს ყოველდღიური საჭიროებების მოგვარებაში და ასევე დროულად აცნობონ ასმ-ის გუნდს, თუკი კლინიკური ან რაიმე სხვა პრობლემები იჩენს თავს (UpToDate, 2025).

ასმ გუნდის მიერ გაწეული მრავალი პრაქტიკული მხარდაჭერა ხშირად რეაბილიტაციურ მომსახურებას წარმოადგენს, რომლის მაგალითებიცაა:

- უნარების სწავლება ფსიქიკური დაავადების თვითმართვისთვის
- სოციალური უნარების გაწვრთნა
- დასაქმების მხარდაჭერა

ასერტული სათემო სერვისის სტრუქტურა

ვინაიდან ასმ გუნდი ახორციელებს პაციენტების არამხოლოდ მკურნალობას, ასევე მათ რეაბილიტაციასა და მხარდაჭერას, გუნდის წევრებს მრავალმხრივი პროფესიული უნარ-ჩვევა უნდა გააჩნდეთ. ოპტიმალურ შემთხვევაში გუნდი დაკომპლექტებულია ისეთი წევრებით, რომლებსაც გააჩნიათ პროფესიული კომპეტენცია განსხვავებულ მომსახურებათა მისაწოდებლად და მხარდაჭერაზე დაფუძნებული კლინიკური ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად (Allness & Knoedler, 2013).

საინტერესოა ის გარემოება, რომ ასმ გუნდები, ჩვეულებრივ, შედგება 8-12 ფსიქიკური ჯანმრთელობის პროფესიონალისგან, რომლებიც ემსახურებიან 80-120 პაციენტს თითოეულ გუნდში. რეკომენდებულია მკურნალობაში ჩართული პირების პაციენტებთან შეფარდება იყოს 1:10, რაც უზრუნველყოფს უფრო ინტენსიურ მომსახურებას, ვიდრე სტანდარტული შემთხვევების მართვის მოდელი, სადაც შეფარდება ხშირად 1:30 ან უფრო მაღალია (Mueser, Bond, Drake, & Resnick, 1998).

მძიმე და ქრონიკული ფსიქიკური დაავადებების მქონე პირებისთვის სათანადო ცხოვრების პირობების შექმნისთვის აუცილებელია, რომ გუნდი 24 საათის განმავლობაში, კვირაში 7 დღე და წელიწადში 365 დღე ხელმისაწვდომი იყოს. იმ შემთხვევაში, თუ გუნდი არ მუშაობს საღამოს საათებში, შაბათ-კვირას ან უქმე დღეებში, იზრდება კრიზისის და ჰოსპიტალიზაციის რისკი, ხოლო გუნდის მუშაობის ეფექტურობა იკლებს იმ პაციენტებთან მიმართებაში, რომლებსაც ყოველდღიური მხარდაჭერა სჭირდებათ.

პერსონალის სამუშაო საათები უმეტესად დატვირთულია კვირის სამუშაო დღეებში, რადგან ამ პერიოდში მომსახურების მოთხოვნა უფრო მაღალია. საღამოს საათებში, შაბათ-კვირას და უქმე დღეებში პერსონალი ძირითადად კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ პაციენტებთან მუშაობს (მაგალითად, მათთან, ვისაც სიმპტომების გამწვავება ან მაღალი რისკის

შემცველი ქცევები აღენიშნებათ, ან იმ პაციენტებთან, რომლებსაც დამატებითი ყურადღება სჭირდებათ). ასევე, ეს საათები მოიცავს იმ პაციენტებს, რომლებიც კვირაში 7 დღის განმავლობაში საჭიროებენ დახმარებას (მაგალითად, მედიკამენტების მიღებაში დახმარება).

ჩვეულებრივ, საღამოს საათებში, შაბათ-კვირას და უქმე დღეებში მუშაობისთვის საკმარისია ორი პერსონალის მორიგეობა. შედარებით უსაფრთხო გარემოში შესაძლებელია მხოლოდ ერთი პერსონალის მუშაობა, თუმცა უფრო რთულ გარემოში (მაგალითად, დიდ ქალაქებში) შესაძლოა საჭირო გახდეს ორი ან მეტი თანამშრომლის ყოფნა.

იმ საათების განმავლობაში, როდესაც ასმ გუნდი არ მორიგეობს, გუნდის წევრი მზად უნდა იყოს სატელეფონო კონსულტაციისთვის, რათა კრიზისულ სიტუაციებზე დროულად მოახდინოს რეაგირება.

ასმ გუნდი ოპერირებს „სამუშაო საათების შემდეგ გამოძახების“ პრინციპით, უწყვეტი დახმარების მიწოდების მიზნით იმ პერსონალის მიერ, რომელმაც პაციენტთან ურთიერთობა დაამყარა. გამოძახებით მუშაობის ფუნქცია ეკისრება შესაბამისი გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების მქონე პერსონალს, რომელიც მოქმედებს გუნდის ლიდერისა და ფსიქიატრის მიერ გაცემული ინსტრუქციების მიხედვით (Allness & Knoedler, 2013).

გამოძახებებზე მომუშავე პერსონალი კრიზისულ სიტუაციებს ტელეფონით განიხილავს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ადგილზე ვიზიტითა და პაციენტის მონახულებით უზრუნველყოფს შესაბამის დახმარებას.

ასერტულ სერვისში ჩართული მულტიდისციპლინარული გუნდის ფუნქციები

გუნდის შემადგენლობა აერთიანებს ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და რეაბილიტაციაზე ორიენტირებულ სხვადასხვა პროფესიის მქონე წევრებს - ფსიქიატრს, ფსიქოლოგს, ოკუპაციურ თერაპევტს, სოციალურ მუშაკს, ექთანს ან უმცროს ექიმს, თანაგანმანათლებელს (თანასწორ მხარდამჭერს). ქვემოთ მოკლედ აღწერილია თითოეული მათგანის როლი ასერტული სერვისის მიწოდების საქმეში:

ფსიქიატრის სამუშაოს აღწერილობა მობილურ ფსიქიატრულ გუნდში (Allness & Knoedler, 2013)

- პაციენტის კონსულტირება და ანამნეზის შეგროვება
- ფსიქიკური და სამედიცინო მდგომარეობის შეფასება და დიაგნოსტიკა
- რეგულარული მონაწილეობა მკურნალობის დაგეგმვის მიზნით ორგანიზებულ შეხვედრებში და პერსონალის ყოველდღიურ ორგანიზაციულ შეხვედრებში

- მედიკამენტური მკურნალობის დანიშვნა
- ფსიქოფარმაკოთერაპიის მონიტორინგი
- შესრულებული სამუშაოს ამსახველი ჩანაწერების კეთება ისტორიაში
- ბენეფიციარებისა და მათი ახლობლების ფსიქოგანათლება
- 12 საათიანი სატელეფონო ხელმისაწვდომობა
- კლინიკურ საკითხებში გუნდის სუპერვიზია

ფსიქოლოგის სამუშაოს აღწერილობა მობილურ ფსიქიატრულ გუნდში (Allness & Knoedler, 2013)

- პროგრამაში ჩართული ბენეფიციარის ინდივიდუალური შეფასება, პროგრესზე დაკვირვება

- ბენეფიციარის მიკროსოციალური გარემოს შესწავლა - შეფასება
- მედიკამენტის მიღების პროცესის მონიტორინგი
- ინდივიდუალური მხარდამჭერი თერაპიის ჩატარება ბენეფიციართან და მის მხარდამჭერთან

- ჯგუფური სესიების ჩატარება ბენეფიციარებთან და მის მხარდამჭერებთან
- სოციალური უნარების ტრენინგი
- ბენეფიციარისა და მისი ახლობლების ფსიქოგანათლება

- პაციენტსა და ოჯახს შორის მედიატორის როლის შესრულება
- ინფორმაციის მიწოდება ან რეფერირება მათთვის საჭირო თუ საინტერესო სერვისებში

ექთნის/უმცროსი ექიმის ფუნქცია-მოვალეობა ასერტულ სათემო ფსიქიატრიულ გუნდში
(Allness & Knoedler, 2013)

- ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება;
- ფსიქიატრიული სამედიცინო შეფასება;
- თემში პაციენტთა მოვლის კოორდინაცია;
- ბენეფიციარის და მისი მხარდამჭერი პირების ფსიქოგანათლება;
- ფსიქოტროპული მედიკამენტების მიწოდება;
- გეგმიური თუ არაგეგმიური ინიექციის გაკეთება და საჭირო საექთნო მანიპულაციების ჩატარება;
- შესრულებული სამუშაოს ამსახველი ჩანაწერების გაკეთება;
- სომატური ჩივილების მართვა და შესაბამის სპეციალისტთან გადამისამართება ან საჭიროებისამებრ პოლიკლინიკაში მიყოლა, დახმარება;
- სხვადასხვა სახის სამედიცინო პროგრამების შეთავაზება, დარეგისტრირება ან აღრიცხვაზე დაყენება მათი სომატური ჯანმრთელობის პრობლემიდან გამომდინარე;
- ბენეფიციარის პირადი საბუთების შეკრება და წარმოება; ბენეფიციარების მიზნების იდენტიფიცირება. შესაბამისი გეგმების და კონკრეტული ინტერვენციების დაგეგმვა, 6 თვეში ერთხელ გადაფასება.
- პროგრამაში ჩართული ბენეფიციარის ინდივიდუალური შეფასება, მკურნალობისა და ზრუნვის გეგმის შედგენა, პროგრესის შეფასება;

სოციალური მუშაკის ფუნქცია-მოვალეობა ასერტულ სათემო ფსიქიატრიულ გუნდში
(Allness & Knoedler, 2013)

- პროგრამაში ჩართული ბენეფიციარის ინდივიდუალური შეფასება, მკურნალობისა და ზრუნვის გეგმის შედგენა, პროგრესის შეფასება
 - ბენეფიციარის კეთილდღეობაზე ზრუნვა, ადვოკატირება და მისი უფლებების დაცვა.
 - ბენეფიციარების პრობლემების და შესაძლებლობების შეფასება და იმ მომსახურებების განსაზღვრა, რომელსაც ის საჭიროებს.
 - ბენეფიციარების მხარდამჭერა იურიდიული, სამედიცინო და ფინანსური დახმარების მიღებაში.
 - უსახლკარო ან ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარებისთვის თავშესაფრით უზრუნველყოფაში დახმარება.
 - სოციალურ სფეროში დასაქმებულ სხვა პროფესიის წარმომადგენლებთან, აგრეთვე კერძო და საჯარო დაწესებულებებთან თანამშრომლობა.
 - სოციალური უნარ-ჩვევების ტრენინგი.
 - ყოველდღიური საქმიანობების უნარების განვითარებაში დახმარება.
 - ბენეფიციარების დახმარება შეეგუონ ცვლილებებს და გამოწვევებს მათ ცხოვრებაში, როგორცაა ავადმყოფობა, განქორწინება ან უმუშევრობა.
 - ბენეფიციარებისთვის სწავლება თუ რომელ ორგანიზაციას, სად და რა ფორმით უნდა მიმართონ განცხადებით.
 - სოც. სტატუსის მინიჭება
 - პოლიკლინიკაში რეგისტრაცია
 - უფასო კურსების მოძიება და ბენეფიციარების დარეგისტრირება

- დახმარება კომუნალური გადასახადების თაობაზე
- საბანკო ოპერაციები
- პენსიის დანიშვნა, აღდგენა
- იუსტიციის სახლთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება (პირადობა დაბადების მოწმობა დარეგისტრირება პრივატიზაცია და ა.შ.)
- სოც. სააგენტოსთან თანამშრომლობა
- სოც. პარტნიორის მოძიება/მოლაპარაკება (მოწყალების და, კარიტასი)
- სხვადასხვა ღონისძიებებისა თუ აქტივობების მოძიება, რის მეშვეობითაც მოხდება ბენეფიციარების სახლიდან გამოსვლა და საზოგადოებასთან ინტეგრაცია

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აღდგენაზე ორიენტირებული ფსიქიკური პრობლემებს მართვის თანამედროვე კონცეფციის თანახმად ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა აღდგენაში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს თანაგანმანათლებელთან / თანასწორ-მხარდამჭერთან ურთიერთობას. სწორედ თანასწორ-მხარდამჭერი არის ასმ-ის მდგ-ის ერთ-ერთი წევრი. ფსიქიკური აშლილობის პირადი გამოცდილების მქონე პირებს („თანასწორებს“) შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ სხვებისთვის დახმარების პროცესში. თანასწორთა არსებითი ჩართულობა საყოველთაოდ არის აღიარებული აღდგენაზე ორიენტირებულ ინოვაციურ სერვისად. თანასწორ-მხარდამჭერის ინსტიტუტის განვითარებას ოთხი ძირითადი სარგებელი აქვს:

- თანასწორი-მხარდამჭერებისთვის – ეს სამუშაო შესაძლებლობა პიროვნული განვითარებისა და ფინანსური სტაბილურობის მიღწევის საშუალებაა. მათი პირადი ცოცხალი გამოცდილება დაფასებულია. სხვისთვის გაცემა – მათი გაჯანსაღების მნიშვნელოვანი კომპონენტია. სახეზეა თვით-მართვისა და სამუშაო უნარების ერთმანეთთან შერწყმა.
- მომხმარებლებისთვის თანასწორები იმედის სიმბოლოები არიან, რაც აღდგენის პროცესს უფრო ხელმისაწვდომსა და რეალურს ხდის. გარდა ამისა, მათთან სოციალური დისტანცია ნაკლებია, ვიდრე პროფესიონალ პერსონალთან, რაც ზრდის სერვისში ჩართვის სურვილს.
- ფსიქიკური ჯანმრთელობის პროფესიონალებისთვის – თანასწორები ხელს უწყობენ სტიგმის შემცირებას და „ჩვენ და ისინი“ მასტიგმატიზებული შეხედულების მოშლას
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემისთვის – თანასწორები შესაძლოა გახდნენ კულტურული ცვლილებების კატალიზატორები. მათი გამოცდილება ხშირად ნაკლებ საჭიროებას ქმნის აღდგენაზე ორიენტირებული დამატებითი ტრენინგებისთვის, რადგან ისინი საკუთარ გამოცდილებას უშუალოდ იყენებენ მხარდაჭერის პროცესში (Slade, 2013).

ასმ-ში ჩართული თანაგანმანათლებლები მზად არიან, გაუზიარონ გუნდსა და მის კლიენტებს პირადი პრაქტიკული გამოცდილება, ცოდნა, განცდები და მოსაზრებები. ასეთი კონსულტანტები მუშაობენ, როგორც გუნდის სრულფასოვანი წევრები და გუნდსა და კლიენტებს აწვდიან ექსპერტულ ცოდნას რეაბილიტაციის პროცესის, სიმპტომების მართვისა და მტკიცე ნებისყოფის მნიშვნელობის შესახებ, რაც აუცილებელია პაციენტებისთვის ცხოვრების მაღალი ხარისხის შესანარჩუნებლად.

გუნდის ეს წევრები თანამშრომლობენ დანარჩენ წევრებთან იმგვარი კულტურის დანერგვის მიზნით, რომელიც აღიარებს, იღებს და პატივისცემით ეპყრობა თითოეული კლიენტის მოსაზრებას. სწორედ გუნდის ამ წევრს ევალება უზრუნველყოს, რომ როგორც პროგრამის დაგეგმვა და განხორციელება, ასევე მკურნალობის, რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის მომსახურებების შეფასება კლიენტის არჩევანზე, თვითგამორკვევასა და კონკრეტულ გადაწყვეტილებებზე იყოს დაფუძნებული (Allness & Knoedler, 2013).

თანაგანმანათლებლები კონსულტაციას უწევენ ინდივიდუალურად პაციენტებს, მათ ოჯახებსა და გუნდის წევრებს და მონაწილეობენ მკურნალობის პროცესში, ფსიქოსოციალური მომსახურების მიწოდებაში, ასევე, ოჯახების განათლებაში, მხარდაჭერასა და

კონსულტირებაში და კრიზისის დროს ჩარევაში. ეს ყოველივე მათ გუნდის პროფესიული აკადემიური განათლების მქონე წევრების კლინიკური სუპერვიზიის ქვეშ უნდა განახორციელონ. შესაბამისი პროფესიული ლიცენზიის მქონე კონსულტანტებს ასევე შეუძლიათ პროფესიული მომსახურებისა და კლინიკური სუპერვიზიის გაწევა.

რომელი პაციენტებისთვის არის სასარგებლო ასერტული სათემო მკურნალობის სერვისის მიღება?

პაციენტებს, რომლებიც შეიძლება ჩაერთონ ასმ-ის სერვისში, უნდა აღენიშნებოდეთ მძიმე ფსიქიკური დაავადება, რომელიც ძირითადად მოიცავს შემდეგ ფსიქიკურ აშლილობებს: შიზოფრენია, შიზოაფექტური აშლილობა, მძიმე დეპრესია, ბიპოლარული აშლილობა და პოსტტრავმული სტრესული აშლილობა. ასმ სერვისი ასევე ემსახურება მათ, ვინც მნიშვნელოვან უნარ-დაქვეითებას განიცდის ისეთ აშლილობათა გამო, როგორებიცაა ობსესიურ-კომპულსიური აშლილობა, ნევროზული ანორექსია, მოსაზღვრე მდგომარეობები, დისოციაციური აშლილობა. ასევე ემსახურება იმათ, ვისაც ტრადიციულმა ფსიქიატრიულმა სამსახურმა დახმარება ვერ აღმოუჩინა.

ამ დაავადებათა სიმპტომატიკა ძირითადად ფსიქოზური რეგისტრის (მაგ., ჰალუცინაციები, ბოდვა, აზროვნების მოშლა) ან აფექტურია (მაგ., დეპრესია, ეიფორია, გაღიზიანება, აზროვნებისა და აქტივობის აჩქარება ან შენელება, იმპულსურობა) და შესაძლოა იყოს ქცევასთან დაკავშირებული (კომპულსიები, პანიკური შეტევა). ისინი ძირითადად ვლინდება მწვავე შეტევების/ეპიზოდების სახით, რომლებიც შეიძლება გაგრძელდეს კვირებისა და თვეების განმავლობაში და აქვთ გამეორებითი ხასიათი.

აქტუალურია დისკუსია ასმ-ის პრაქტიკოსებს შორის მოსაზღვრე პიროვნული აშლილობის დიაგნოზის მქონე პირების სერვისში ჩართვის თაობაზე (Burroughs & Somerville, 2013).

ეპიზოდის განმავლობაში ადამიანს ხშირად არ გააჩნია საკუთარ თავზე ზრუნვის უნარი და საჭიროებს ინტენსიურ დახმარებასა და მხარდაჭერას ჰოსპიტალიზაციის ჩათვლით. ეფექტური მკურნალობის შემთხვევაში კლიენტთა უმრავლესობას აღენიშნება სიმპტომთა სრული რედუქცია, თუმცა ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ნაწილობრივი გაუმჯობესება, ზოგიერთი აშლილობის შემთხვევაში (მაგ., ობსესიურ-კომპულსიური აშლილობა) კი სიმპტომები ხანგრძლივად რჩება მათი ინტენსივობისა და ხასიათის მერყეობასთან ერთად (Allness & Knoedler, 2013).

ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ასმ სერვისის მიწოდება ხშირად მიზნად ისახავს სტაციონარული მკურნალობის მაღალი ხარჯების შემცირებას, ასმ-ის მიღების უფლება ხშირად შეზღუდულია იმ პირებით, რომელთაც აქვთ ბოლო პერიოდში მრავალჯერადი ჰოსპიტალიზაციის ისტორია (მაგალითად, ერთი წლის განმავლობაში ორი ან მეტი ჰოსპიტალიზაცია) ან რომლებიც ხანგრძლივ დროს ატარებენ სტაციონარში (მაგალითად, 6 თვეზე მეტ ხანს). ფსიქიატრიული ჰოსპიტალიზაციის სიხშირე და ხანგრძლივობა ზრდის შანსს, რომ პაციენტს კვლავ დასჭირდება ჰოსპიტალიზაცია და ამიტომ ამ ჯგუფზე კონცენტრირება დაკავშირებულია პოტენციურად მაღალ ხარჯ-ეფექტიანობასთან (Slade, McCarthy, Valenstein, Visnic, & Dixon, 2013).

ასმ სერვისის მიწოდება ევროპასა და აშშ-ში ასევე მაღალია მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე იმ პირებისთვის, რომლებიც ჩართულნი იყვნენ კრიმინალურ საქმიანობაში მ მოლოდინით, რომ ფსიქიატრიული დაავადების უფრო მკაცრი მეთვალყურეობა და ყოველდღიური ცხოვრების საჭიროებების დაკმაყოფილებაში დახმარება შეამცირებს მათ მიერ დანაშაულის ჩადენისა და ხელახლა პატიმრობის რისკს. არსებობს საერთო შეთანხმება იმის შესახებ, რომ საჭიროა ასმ სერვისების გაუმჯობესება მოსახლეობის ამ სეგმენტის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, რაც მოითხოვს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და კრიმინალური მართლმსაჯულების პროფესიონალებს შორის მჭიდრო კოორდინაციას და თანამშრომლობას (Smith, Jennings, & Cimino, 2010).

ასერტულ სერვისის ირგვლივ არსებული საერთაშორისო კვლევების მიმოხილვა

ასერტული მკურნალობის ეფექტურობის შესაფასებლად 1970-იანი წლებიდან დაწყებული უამრავი კვლევა ჩატარებული. მენდოტას (აშშ, ვისკონსინის შტატი) სახელმწიფო საავადმყოფოში დაკვირვების საფუძველზე დაადგინეს, რომ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ეფექტური მკურნალობის მიუხედავად მიღწეული თერაპიის შედეგების შენარჩუნება პაციენტების გამოწერის შემდგომ ვერ ხერხდებოდა. შესაბამისად, საწყისი კვლევითი პროექტის მიზანი იყო მცდელობა, დაეწყოთ მკურნალობა თემში (community) და არა საავადმყოფოში (Stein & Test, 1980; Weisbrod, Test, & Stein, 1980).

პროექტი გულისხმობდა საავადმყოფოს პალატის პერსონალის გადმოყვანას თემში, რათა მათ უზრუნველყოთ ინტენსიური და ყოველდღიური „საავადმყოფოს მსგავსი“ მომსახურება. ასმ სერვისი 65 რანდომულად არჩეულ პირს მოიცავდა. ხოლო კონტროლად შერჩეულ 65-კაციან ჯგუფს მიენიჭა უფლება მიეღო მომსახურება ვისკონსინის დეინის რაიონის ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემაში (შემთხვევა-კონტროლის კვლევა). ასმ-ის პროექტის ეფექტურობის გასაზომად გამოყენებულ იქნა კლიენტების მიერ ფსიქიატრიულ სტაციონარში გატარებული დრო და საზოგადოებაში ადაპტაციის მაჩვენებლები (მაგალითად, დასაქმება, ცხოვრების პირობები, სოციალური ურთიერთობები) მომდევნო 14 თვის განმავლობაში.

შედეგები

1. ასმ-პროექტში მონაწილე 65 პაციენტიდან მხოლოდ 12 პირს დასჭირდა ჰოსპიტალიზაცია პირველი წლის განმავლობაში, მაშინ, როდესაც საკონტროლო ჯგუფში 65-დან 58 პირს.
2. რეჰოსპიტალიზაციის დროს საკვლევ ჯგუფში მყოფი პირები გაცილებით ნაკლებ დროს ატარებდნენ საავადმყოფოში საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.
3. ასმ პროგრამის პაციენტებმა:
 - მნიშვნელოვნად მეტი დრო გაატარეს დამოუკიდებლად საცხოვრებელ სიტუაციაში.
 - ნაკლებ ხანს იყვნენ დაუსაქმებლად
 - მიიღეს მეტი შემოსავალი კონკურენტუნარიანი სამსახურიდან
 - გამოავლინეს უფრო მეტი პოზიტიური სოციალური ურთიერთობები.
 - განიცადეს მეტი კმაყოფილება ცხოვრებისგან.
 - გამოავლინეს ნაკლები სიმპტომები.
4. მიუხედავად იმისა, რომ ასმ-ის მონაწილენი ხარჯავდნენ მეტ დროს საზოგადოებაში, ოჯახის წევრებსა და საზოგადოებაზე დაკისრებული ტვირთი არ გაზრდილა
5. დადგინდა, რომ ამ მოდელს მცირედი ეკონომიკური უპირატესობა აქვს ინსტიტუციონალურ ზრუნვასთან შედარებით.
6. მნიშვნელოვნად შემცირდა მიღწევების რაოდენობა ასმ-პროგრამიდან გამოსულ პაციენტებში (Allness & Knoedler, 2013)

ამ კვლევის შედეგებს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ პროგრამებისთვის, რომლებიც ემსახურებიან მძიმე და ხანგრძლივი ფსიქიკური დაავადებების მქონე პაციენტებს. კვლევიდან ვასკვნიტ, რომ ინდივიდები, რომლებსაც აქვთ ხანგრძლივად მიმდინარე ფსიქიკური პრობლემები, მკურნალობასაც შესაბამისად ხანგრძლივად უნდა იღებდნენ.

მოგვიანებითი კვლევებიც ადასტურებს ასმ-ის ეფექტურობას. კერძოდ, 14 რანდომიზებული კლინიკური კვლევის მეტა ანალიზმა, რომელიც მოიცავდა 1047 პაციენტს მძიმე ფსიქიკური დაავადებით, გამოავლინა, რომ ასმ-ში ჩართული პაციენტები უფრო დიდხანს რჩებოდნენ სერვისში ჩართულები და უფრო ნაკლები იყო მათი ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები, ვიდრე პაციენტებში, რომლებიც სხვა სათემო სერვისს იღებდნენ. ამას გარდა, ასმ-ში ჩართულ პაციენტებს უკეთესი შედეგები ჰქონდათ საცხოვრებელი ადგილის, დასაქმებისა და კმაყოფილების თვალსაზრისით (Marshall, M., & Lockwood, A., 2011).

სხვა კვლევის მაგალითზეც, რომელიც 2012 წელს გამოქვეყნდა, ნათლად ჩანს ასმ-ის ეფექტურობა. კვლევა მოიცავდა შიზოფრენიის-სპექტრის დაავადებების მქონე 120 პაციენტს,

რომლებიც რანდომულად განაწილდა 2 ჯგუფად: ერთი ვინც ასმ სერვისს იღებდა და მეორე - სხვა სერვისს. კვლევა გაგძელდა 12 თვის განმავლობაში. შედეგებმა ცხადყო, რომ ასმ ჩართული პაციენტების მკურნალობაზე დამყოლობა უფრო მაღალი იყო, ასევე მათ აღენიშნებოდათ საკონტროლო ჯგუფთან შედარებით უკეთესი ზოგადი ფუნქციონირება, დამოუკიდებელი ცხოვრების უნარები და დასაქმების მაჩვენებელი (Karow et al., 2012).

კვლევები ადასტურებს რომ ასმ ეფექტურია როგორც 18 წლამდე (Vijverberg, Ferdinand, Beekman, & van Meijel, 2017) ასევე 60 წლის ზემოთ პაციენტებში (Stobbe et al., 2014).

ასერტული სათემო მკურნალობის კიდევ ერთი უპირატესობა არის პაციენტთა რეჰოსპიტალიზაციის დაბალი მაჩვენებელი, რაც ბევრი კვლევით დასტურდება. მათ შორის, ერთ-ერთმა, 2005 წელს გამოქვეყნებულმა კვლევამ შეისწავლა ასმ-ის გუნდის ეფექტურობა მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტებში და აჩვენა, რომ მისი დანერგვის შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივობა. კვლევის ფარგლებში, ასმ გუნდის სერვისებით მოსარგებლე 43 პაციენტის ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლები შეისწავლეს მის დანერგვამდე და შემდეგი 12 თვის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ პაციენტთა უმრავლესობას (79%) შიზოფრენიის დიაგნოზი ჰქონდა, ხოლო მაღალი იყო კომორბიდობის (76%) და ფუნქციური შეზღუდვის მაჩვენებელიც.

შედეგებმა ცხადყო, რომ ასმ-ის დანერგვამ რეჰოსპიტალიზაციის საშუალო ხანგრძლივობა 70.9 დღიდან 10.2 დღემდე შეამცირა ($p < 0.05$), რაც მკაფიოდ მიუთითებს მის ეფექტურობაზე. აღნიშნული კლინიკური მონაცემები ადასტურებს, რომ ასმ არა მხოლოდ ამცირებს სტაციონარულ სერვისებზე დამოკიდებულებას, არამედ ხელს უწყობს პაციენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაციას სათემო გარემოში (Udechuku, Olver, Hallam, et al., 2005).

ასერტული სათემო მკურნალობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი არის მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების სოციალური ინტეგრაციის მხარდაჭერა. კვლევის მიხედვით, რომელიც ასმ-ის გუნდის წევრების გამოცდილებას იკვლევდა, სოციალური ინტეგრაციის პროცესის ეფექტურობა დიდწილად დამოკიდებულია გუნდში არსებულ მულტიდისციპლინურ თანამშრომლობაზე და პაციენტებთან დამყარებულ თერაპიულ ურთიერთობაზე.

კვლევამ ასევე წარმოაჩინა სოციალური ინტეგრაციის კონცეფციის მრავალფეროვნება. მონაწილეთა პასუხების ანალიზზე დაყრდნობით, სოციალური ინტეგრაცია განისაზღვრა, როგორც შესაძლებლობა, პიროვნებამ თავისი სურვილისამებრ აირჩიოს სოციალური აქტივობები, ჩაერთოს სათემო ცხოვრებაში და დაამყაროს ურთიერთობები როგორც ფსიქიკური ჯანმრთელობის გამოწვევების მქონე, ასევე ჯანმრთელ პირებთან. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური ურთიერთობები ადრე მხოლოდ ზოგადი კავშირებით განისაზღვრებოდა, ეს კვლევა მიუთითებს, რომ სოციალური ინტეგრაციის განმსაზღვრელი ფაქტორი თავად ინდივიდის აქტიური ჩართულობა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის სუბიექტური აღქმაა. (Linz & Sturm, 2016)

ასმ გუნდები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობაში, რაც გამოხატულია მათ მიერ პაციენტებთან ძლიერი, მზრუნველი და მხარდამჭერი ურთიერთობების დამყარებაში. ჯგუფური შეხვედრები და სათემო აქტივობები პაციენტებს სოციალური ინტერაქციის შესაძლებლობას აძლევს. ამგვარი მიდგომა არა მხოლოდ პაციენტთა სოციალურ აქტივობას უწყობს ხელს, არამედ აძლიერებს მათი რეაბილიტაციის პროცესს და ხელს უწყობს მათ სათემო ცხოვრებაში ჩართვას (Linz & Sturm, 2016).

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ცნობილია, რომ მძიმე ფსიქიატრიული დაავადებების მართვაში მნიშვნელოვანი გამოწვევა არის პაციენტების მკურნალობაზე დამყოლობა Cramer, J. A., & Rosenheck, R. (1998). ხშირად, სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტები ნაადრევად, ექიმის დანიშნულების გარეშე წყვეტენ მედიკამენტების მიღებას, რაც ზრდის რეციდივისა და ჰოსპიტალიზაციის რისკს. ასერტული სათემო მკურნალობის (ასმ) მოდელი ამ კუთხით მნიშვნელოვან უპირატესობებს წარმოადგენს, რადგან ინტენსიური მხარდაჭერისა და უწყვეტი მონიტორინგის გზით აუმჯობესებს მედიკამენტოზურ მკურნალობაზე დამყოლობას (Manuel,

Covell, Jackson, & Essock, 2011).

ამის საილუსტრაციოდ შეიძლება 2011 წელს გამოქვეყნებული კვლევის მაგალითად მოყვანა, რომლის მიზანი იყო ასმ-ისა და სტანდარტული კლინიკური შემთხვევის მართვის გავლენის შედარება მედიკამენტური თერაპიისადმი დამყოლობაზე. კვლევაში ჩართული იყო 198 პაციენტი, რომლებიც რანდომულობის პრინციპით სერვისთაგან ერთ-ერთში გაანაწილეს და სამი წლის განმავლობაში დააკვირდნენ. მედიკამენტური დამყოლობა ორ კატეგორიად დაიყო: „არადამაკმაყოფილებელი“ (თუ პაციენტს 20%-ზე მეტი დღე ჰქონდა გამოტოვებული) და „დამაკმაყოფილებელი“ (თუ გამოტოვებული დღეები 20%-ზე ნაკლები იყო).

შედეგებმა აჩვენა, რომ ასმ-ის ჯგუფში მყოფი პაციენტების მედიკამენტოზურ მკურნალობაზე დამყოლობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სტანდარტული კლინიკური მართვის ჯგუფთან შედარებით. შესაბამისად, კვლევის მიხედვით, ასმ-ის ფარგლებში მიწოდებული მკურნალობა ეფექტური შეიძლება იყოს ფსიქიატრიული პაციენტებისთვის, რომლებშიც მედიკამენტოზურ მკურნალობაზე დამყოლობა დაბალია (Manuel, Covell, Jackson, & Essock, 2011).

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ როგორც საერთაშორისო კვლევებიდან ირკვევა, ასერტული სათემო მკურნალობა (ასმ) მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პაციენტების მდგომარეობას სხვადასხვა ასპექტში. კერძოდ, ის ამცირებს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ჰოსპიტალიზაციის საჭიროებას, აუმჯობესებს მედიკამენტზე დამყოლობას, ხელს უწყობს სოციალურ ინტეგრაციას და პაციენტთა ფუნქციური რეაბილიტაციის პროცესს. გარდა ამისა, ასმ-ის მოდელი განსაკუთრებით ეფექტურია მძიმე ფსიქიკური აშლილობების მქონე პირებისთვის, რომლებიც სტანდარტული ამბულატორიული სერვისებით ეფექტურად ვერ სარგებლობენ.

საერთაშორისო გამოცდილების ფონზე საინტერესოა საქართველოში არსებული ცოდნისა და პრაქტიკის მიმოხილვა ასერტულ სათემო მკურნალობასთან დაკავშირებით. შემდეგი თავი სწორედ ამ საკითხს შეეხება.


საქართველოში ასერტული სათემო მკურნალობის სერვისი: სტრუქტურა, გამოწვევები და პერსპექტივები

სათემო სერვისების განვითარება საქართველოში

როგორც შესავალში აღინიშნა, საქართველოც ეხმიანება ფსიქიკური ჯანმრთელობის დეინსტიტუციონალიზაციის პროცესს, რის შედეგადაც სათემო სერვისების განვითარებას მეტი ყურადღება ექცევა. ამ პროცესის ფარგლებში, განსაკუთრებით 2011 წლის შემდეგ, ქვეყანაში დაიხურა რამდენიმე მსხვილი ფსიქიატრიული საავადმყოფო და დაიწყო ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების თემზე დაფუძნებული მოდელის დანერგვა.

მსგავსი მიდგომა თანხვედრაშია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) რეკომენდაციებთან, რომლის მიხედვითაც ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს სათემო ზრუნვის მოდელზე. საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები სწორედ ამ მიმართულებით ვითარდებოდა, რაც მოიცავს როგორც ამბულატორიულ მომსახურებას, ასევე დღის ცენტრების, დაცული საცხოვრებლებისა და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროგრამების გაძლიერებას.

ფინანსური კუთხით, სათემო სერვისების დაფინანსების წილი სახელმწიფო ბიუჯეტში სტაბილურად იზრდება, რასაც ადასტურებს ნაშრომში წარმოდგენილი გრაფიკი (იხ. დიაგრამა #1). აღნიშნული დიაგრამა ასახავს სათემო სერვისების დაფინანსების ზრდის დინამიკას, რომლის პარალელურადაც ხდება ჰოსპიტალური სერვისების დაფინანსების შემცირება. ეს ტენდენცია ხაზგასმით მიუთითებს გარემოებაზე, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურება მეტად მორგებული თემზე დაფუძნებულ მიდგომაზე უნდა იყოს.



დიაგრამა N1. 2018-2024 წწ. ჰოსპიტალურ და სათემო სექტორს შორის პროცენტული თანაფარდობა (გორდეზიანი, 2024)

მეტი კონკრეტიკისთვის აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰოსპიტალურ სექტორში სამი კომპონენტი მოიაზრება: ფსიქიკური აშლილობის მქონე მოზრდილთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურება, ფსიქიკური აშლილობის მქონე ბავშვთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურება და ფსიქიკური დარღვევების მქონე შშმ პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფა; დანარჩენი შვიდი კი სათემო სერვისებია: სათემო ამბულატორიული მომსახურება, ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია, ბავშვთა ფჯ, ფსიქიატრიული ინტერვენციის სამსახური, მოზრდილთათვის თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება, საცხოვრისების განვითარება, რომელიც 2020 წლიდან ემატება და ბოლოს ასერტული მკურნალობის თანადაფინანსება 2022 წლიდან (გორდეზიანი, 2024).

მეტი თვალსაჩინოებისთვის ნაშრომში წარმოდგენილია ცხრილი, რომელშიც დეტალურადაა ნაჩვენები ფსიქიკური ჯანმრთელობის ყველა ათი ძირითადი კომპონენტის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2024 წელს. აღნიშნული მონაცემები ნათლად წარმოაჩენს, თუ როგორ ნაწილდება ფინანსური რესურსები სხვადასხვა ტიპის სერვისებზე, მათ შორის სტაციონარულ, ამბულატორიულ, კრიზისულ, რეაბილიტაციურ და პრევენციულ პროგრამებზე (იხ. ცხრილი #1).

ცხრილი 1. ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამების დაფინანსება 2024 წელს

N	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)	%
1	სათემო ამბულატორიული მომსახურება	9101,8	18.20
2	ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია	134	0.27
3	ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობა	151	0.30
4	ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენციის სამსახური მოზრდილთათვის	662,3	1.32
5	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება	3182,4	6.36
6	ფსიქიკური აშლილობის მქონე მოზრდილთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურება	23731,4	47.46
7	ფსიქიკური აშლილობის მქონე ბავშვთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურება	1054,1	2.11
8	ფსიქიკური დარღვევების მქონე შშმ პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის კომპონენტი	1793,4	3.59
9	ასერტული მკურნალობის კომპონენტის თანადაფინანსება	84	0.17
10	საცხოვრისების განვითარება	10105.6	20.21
	სულ	50 000	100

მიუხედავად პროგრესისა, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო სერვისების

განვითარებას საქართველოში კვლავ მრავალი გამოწვევა ახლავს, მათ შორის ადამიანური რესურსების ნაკლებობა, სტიგმის მაღალი დონე და ფინანსური მდგრადობის საკითხები. თუმცა, არსებული ტენდენციები გვიჩვენებს, რომ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკა თანდათან მეტად ორიენტირებული ხდება სათემო სერვისების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ასერტული სათემო მკურნალობის ისტორია საქართველოში

საქართველოში ასერტული სერვისის ინიციატორი იყო ამერიკაში მოღვაწე ქართველი ფსიქიატრი, რომელიც თავადაც მუშაობდა ასერტულ გუნდში. პროექტის განხორციელება 2011 წელს დაიწყო, როცა "ღია საზოგადოება საქართველო" მხარში დაუდგა ინიციატივას. 2011 წელს ქართველმა ფსიქიატრებმა აშშ-ში გაიარეს ტრენინგები, სადაც შეისწავლეს ასერტული სერვისის სპეციფიკა. 2012 წელს ითარგმნა სახელმძღვანელო, რომელიც ასერტული სერვისის მოწყობას ეხებოდა, ხოლო 2013 წელს საქართველოში შეიქმნა პირველი გუნდი, რომელმაც დაიწყო სერვისის მიწოდება.

სათანადო და დაბალანსებული კვება ადამიანის ჯანმრთელობისა და განვითარების საფუძველია. ის განსაზღვრავს არა მხოლოდ ფიზიკურ მდგომარეობას, არამედ კოგნიტურ უნარებს, იმუნურ სისტემასა და დაავადებების პრევენციის შესაძლებლობას. არასწორი კვება ასოცირდება ქრონიკულ დაავადებებთან, მათ შორის ანემიასთან, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებთან და მეტაბოლურ დარღვევებთან.

საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობის კვება კვლავ რჩება არადამაკმაყოფილებლად დაბალანსებულად და ენერგიულად გადატვირთულად (პაპიაშვილი და ვერულავა, 2024; მამნიაშვილი, 2024; კაპანაძე და სხვ., 2018). განსაკუთრებით საგანგაშოა რკინითა და სხვა მიკროელემენტებით ღარიბი რაციონი, რაც მნიშვნელოვნად აისახება მოწყვლად ჯგუფებზე, მათ შორის ორსულ ქალებზე. ასეთ ფონზე, ჯანსაღი კვების ხელშეწყობა წარმოადგენს სახელმწიფოს წინაშე არსებულ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესების გზაზე (Verulava & Devnozashvili, 2021).

რკინადეფიციტური ანემია ორსულებში წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ და სერიოზულ გლობალურ პრობლემას, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც დედის, ისე ნაყოფის ჯანმრთელობაზე. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) მონაცემებით, გლობალური მასშტაბით, ორსულ ქალთა დაახლოებით 40% განიცდის ანემიის სხვადასხვა ფორმას, მათ შორის კი ყველაზე გავრცელებული რკინადეფიციტური ანემიაა. მიუხედავად იმისა, რომ რკინის დეფიციტი ხშირად დაბალშემოსავლიანი ქვეყნების პრობლემად მიიჩნევა, იგი ასევე გამოწვევად რჩება საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებშიც, მათ შორის საქართველოშიც (Tsiklauri და სხვ., 2019).

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში ორსულ ქალებში ანემიის გავრცელება მერყეობს საშუალოდ 30–35%-ის ფარგლებში, რაც მნიშვნელოვანად სცილდება ევროპის არაერთი ქვეყნის სტატისტიკურად დადასტურებულ საშუალო მაჩვენებელს და მიუთითებს დაავადების მნიშვნელოვნად გავრცელებულ ხასიათზე. ამასთან, რკინის დეფიციტის გავრცელება ხშირად აღემატება კლინიკურად დადასტურებული ანემიის მაჩვენებელს, რაც მიუთითებს დიაგნოსტიკის არასრულყოფილებაზე (Skhvitadze და სხვ., 2025). ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა რკინის დეფიციტის დაგვიანებული დიაგნოსტიკაა, რაც განპირობებულია როგორც სიმპტომების არათანაბარი გამოვლინებით, ისე სკრინინგის არსებული სტრუქტურების არასათანადო ეფექტურობითა და ფუნქციონირებით.

ორსულობის პერიოდში რკინადეფიციტური ანემია დაკავშირებულია რიგ გართულებებთან, როგორიცაა: დედის დაღლილობა და შრომისუნარიანობის შემცირება, ადრეული მშობიარობა, პერინატალური გართულებები, ნაყოფის ნეიროგანვითარების შეფერხება. ამ ფონზე, მნიშვნელოვნად იზრდება პრევენციისა და დროული მართვის საჭიროება. განვითარებულ ქვეყნებში უკვე აპრობირებულია რამდენიმე წარმატებული მიდგომა, მათ შორის ფერიტინის დონის ადრეული სკრინინგი და ეროვნული ნუტრიციული პროგრამების დანერგვა.

გლობალური ტენდენციებისა და საქართველოსთვის დამახასიათებელი სოციოეკონომიკური თუ ჯანდაცვის სისტემური ფაქტორების გათვალისწინებით, ორსულთა რკინადეფიციტური ანემია წარმოადგენს ისეთ საკითხს, რომელიც საჭიროებს სისტემატურ ანალიზს. ქვეყანაში მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი არის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა, თუმცა კვლევები აჩვენებს, რომ ინფორმაციის ნაკლებობა თუ სხვადასხვა სოციალური ფაქტორები კვლავ ხელს უშლის ამ მდგომარეობის ეფექტურ მართვას (Verulava & Gogua, 2025). ამდენად, აუცილებელია არსებული მტკიცებულებების შეჯამება და ანალიზი, რაც ხელს შეუწყობს როგორც კლინიკური პრაქტიკის გაუმჯობესებას, ისე ჯანდაცვის პოლიტიკის ეფექტურ დაგეგმვას.

წინამდებარე სისტემატური მიმოხილვის მიზანია:

- შემაჯამოს ორსულთა რკინადეფიციტური ანემიის გავრცელება საქართველოში;
- გამოავლინოს ძირითადი რისკ-ფაქტორები და დიაგნოსტიკური ხარვეზები;
- შეაფასოს პრევენციისა და მკურნალობის არსებულ მექანიზმთა ეფექტიანობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონტექსტში;
- და საბოლოოდ, განავითაროს რეკომენდაციები ჯანდაცვის პოლიტიკის, კლინიკური პრაქტიკისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის.

მეთოდოლოგია

ეს კვლევა წარმოადგენს სისტემატურ მიმოხილვას.

მონაცემთა ძიება და შერჩევის სტრატეგია

სისტემატური ძიება ჩატარდა შემდეგ ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში: PubMed, Google Scholar, Scopus, ScienceDirect და EBSCOhost, აგრეთვე დამატებითი ძიება განხორციელდა ქართულენოვან რესურსებში, მათ შორის საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, და ეროვნული დაავადებათა კონტროლის ცენტრის (NCDC) პუბლიკაციებში.

ძიების საკვანძო სიტყვები მოიცავდა: “iron deficiency anemia”, “pregnancy”, “Georgia”, “maternal health”, “ferritin screening”, “antenatal care”, “რკინადეფიციტური ანემია”, “ორსულობა”, “დედათა ჯანმრთელობა”.

შერჩევის კრიტერიუმები მოიცავდა შემდეგს:

- პუბლიკაციები, რომლებიც გამოქვეყნებულია 2005–2025 წლების პერიოდში
- კვლევები, რომლებიც მიმოიხილავენ ორსულობის დროს რკინადეფიციტური ანემიის გავრცელებას, დიაგნოსტიკას, პრევენციას ან მართვას
- საქართველოს ან ანალოგიური პროფილის მქონე ქვეყნების მონაცემები
- პუბლიკაციები ინგლისურ და ქართულ ენებზე

მონაცემთა გამორიცხვა

გამორიცხა სტატიები, რომლებიც:

- არ წარმოადგენდა რელევანტურ წყაროს ორსულთა რკინადეფიციტური ანემიის თემაზე
- არ შეიცავდა საკმარის სტატისტიკურ ან აღწერით ანალიზს
- არ აკმაყოფილებდა რეცენზირებისა და აკადემიური სანდოობის კრიტერიუმებს
- მონაცემთა ანალიზი

მონაცემთა ექსტრაქცია განხორციელდა შერჩეული სტატიებიდან შემდეგი თემატური კომპონენტების მიხედვით:

- რკინადეფიციტური ანემიის გავრცელება
- გამოყენებული დიაგნოსტიკური კრიტერიუმები (ჰემოგლობინის დონე, ფერითინი)
- გამოყენებული მკურნალობის და პრევენციის სქემები
- პაციენტთა ინფორმირებულობის დონე და დამოკიდებულება
- ჯანდაცვის სისტემური და სოციალური ფაქტორები

შედეგები აღწერითად შეჯამდა, ჯგუფებად დაიყო თემატური ერთეულების მიხედვით (დიაგნოსტიკა, პრევენცია, ცოდნის დონე, სახელმწიფო პროგრამები) და განხილულ იქნა შედარებით ანალიზში ადგილობრივ და საერთაშორისო მტკიცებულებებთან.

შედეგები

სისტემატური მიმოხილვის შედეგად ანალიზში მოხვდა 22 რელევანტური კვლევა, მათ შორის 7 ადგილობრივი და 15 საერთაშორისო წყარო. ქვემოთ წარმოდგენილია შედეგების ძირითადი თემატური ერთეულები:

1. ანემიის გავრცელება საქართველოში

საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მიხედვით ანემიის გავრცელება ორსულებში მერყეობს 19.2%-დან 39%-მდე, რაც ჯანმოს კლასიფიკაციით მიიჩნევა საშუალო სირთულის პრობლემად (WHO, 2023; Tsiklauri et al., 2019).

ერთ-ერთ ფენომენოლოგიურ კვლევაში (Verulava & Gogua, 2025) ორსულთა 33.1%-ს აღენიშნებოდა ანემია ჰემოგლობინის დონით, ხოლო ფერითინის ანალიზით რკინადეფიციტი დაფიქსირდა 57%-ში.

2. რკინადეფიციტური ანემიის ძირითადი მიზეზები

ორსულთა რკინადეფიციტური ანემია (რდა) მრავალფაქტული ეტიოლოგიის დაავადებაა, რომელსაც ხელს უწყობს როგორც ბიოლოგიური და კვებითი ცვლილებები, ისე სოციალური და ჯანდაცვის სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები. სისტემატური მიმოხილვის ფარგლებში იდენტიფიცირდა შემდეგი ძირითადი მიზეზები:

ორგანიზმის გაზრდილი მოთხოვნა რკინაზე ორსულობის პერიოდში

ორსულობის დროს, განსაკუთრებით მეორე და მესამე ტრიმესტრში, მნიშვნელოვნად იზრდება რკინის საჭიროება — პლაცენტის, ნაყოფის და სისხლის მატებული მოცულობის უზრუნველსაყოფად. თუ ქალს ორსულობამდე უკვე აქვს შემცირებული რკინის მარაგი, ორსულობის პერიოდში მას სწრაფად განუვითარდება რკინადეფიციტური ანემია (WHO, 2024).

არასაკმარისი რკინის შემცველობა საკვებში

კვლევებით დადასტურებულია, რომ ორსულთა დიდი ნაწილი არ იღებს რკინით მდიდარ საკვებს ან არ აქვს ინფორმაცია იმ საკვებზე, რომლებიც ხელს უწყობს რკინის უკეთეს შეწოვას (Petry et al., 2021). ხშირია არაბალანსებული დიეტა, ცხოველური რკინის (HEME iron) დეფიციტით.

რკინის აბსორბციის დარღვევა

გარკვეული საკვები ნივთიერებები, მაგალითად, ჩაის ტანინები, კალციუმი (რძის პროდუქტებში) და ფიტატები (მარცვლეულში), აფერხებენ რკინის შეწოვას. C ვიტამინის უკმარისობა, რომელიც ხელს უწყობს რკინის აბსორბციას, ხშირად არ არის გათვალისწინებული საკვები რაციონის შედგენისას (Ghosh et al., 2020).

დაბალი სოციალური და ეკონომიკური სტატუსი

დაბალი სოციალური ეკონომიკური სტატუსის მქონე ორსულები უფრო ხშირად განიცდიან რკინით მდიდარი საკვების და პრეპარატების ხელმისაწვდომობის ნაკლებობას. ეკონომიკური ბარიერები ასევე უკავშირდება პრენატალურ სერვისებზე ნაკლებ მიმართვიანობას და პირველადი ჯანდაცვის სერვისებთან ადექვატური კავშირის არარსებობას (Tsiklauri et al., 2019).

პრენატალური სკრინინგის და განათლების დეფიციტი

პრენატალური სკრინინგის და ორსულებისთვის გათვალისწინებული საგანმანათლებლო ინტერვენციების დეფიციტი რკინადეფიციტური ანემიის დაუდგენლობისა და არაეფექტური მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება (Verulava & Gogua, 2025).

ხშირი ორსულობები და მოკლე ინტერვალი მშობიარობებს შორის

ორგანიზმს არ ეძლევა დრო რკინის მარაგების აღსადგენად ხშირ ორსულობებს შორის. მრავალნაყოფიან ორსულობასთან ერთად, ეს კიდევ უფრო ზრდის მოთხოვნას რკინაზე და ანემიის რისკს (WHO, 2024).

ამგვარად, რკინადეფიციტური ანემია ორსულებში არ წარმოადგენს მხოლოდ ინდივიდუალურ კვებით ქცევებთან დაკავშირებულ პრობლემას — მას საფუძვლად უდევს სისტემური, სოციალურ-ეკონომიკური და ფიზიოლოგიური კომპონენტების ერთობლიობა. ანემიის პრევენციის ეფექტური სტრატეგიები უნდა მოიცავდეს ამ მიზეზების კომპლექსურ შეფასებას და შესაბამის რეაგირებას როგორც კლინიკურ, ისე ჯანდაცვის პოლიტიკის დონეზე.

3. ცოდნისა და ცნობიერების დონის შეფასება ორსულებში რკინადეფიციტური ანემიის შესახებ

რკინადეფიციტური ანემიის პრევენციისა და დროული გამოვლენის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა ორსულთა განათლება და ცნობიერება დაავადების სიმპტომების, გამომწვევი მიზეზების, გართულებებისა და პროფილაქტიკური საშუალებების შესახებ. სისტემური მიმოხილვის ფარგლებში გაანალიზებული არაერთი კვლევა ცხადყოფს, რომ საქართველოში ამ მიმართულებით არსებობს სერიოზული გამოწვევები.

ინფორმირებულობის დაბალი დონე ანემიის სიმპტომების შესახებ

ერთ-ერთი კვლევის თანახმად, ორსულთა უმრავლესობა ისეთ სიმპტომებს, როგორიცაა სისუსტე, თავბრუსხვევა და ქოშინი, აღიქვამს ორსულობის ბუნებრივ თანმდევ მოვლენებად და არ უკავშირებს მათ რაიმე პათოლოგიის არსებობას (Verulava & Gogua, 2025). დაახლოებით 52%-ს სჯეროდა, რომ ანემია ორსულობაში ჩვეულებრივი მდგომარეობაა და მკურნალობას არ

საჭიროებს. მხოლოდ 21% ახსენებდა რკინით მდიდარ პროდუქტებს ან პრეპარატებს, როგორც პრევენციის გზას.

პრევენციული ღონისძიებების შესახებ ცნობიერების ნაკლებობა

არსებული კვლევებით დადასტურებულია, რომ ორსულთა უმრავლესობა არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას ფერიტინის დონის განსაზღვრის მნიშვნელობაზე, სკრინინგის პროცესზე და ორსულობის მეორე-მესამე ტრიმესტრში რკინის მოთხოვნის გაზრდასთან დაკავშირებულ საჭიროებებზე (Ghosh et al., 2020). კვლევების თანახმად, ორსულთა უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ C ვიტამინი ხელს უწყობს რკინის აბსორბციას, ხოლო ჩაისა და რძის პროდუქტებთან ერთად რკინის პრეპარატების მიღება ამცირებს მისი შეწოვის ეფექტიანობას (Petry et al., 2021).

სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენა ცნობიერებაზე

დაბალშემოსავლიან ორსულებში რკინადეფიციტური ანემია განსაკუთრებით ხშირია და ამის მიზეზი არ შემოიფარგლება მხოლოდ კვებითი ფაქტორებით, არამედ ამის განმაპირობებელია ასევე არასაკმარისი ინფორმირებულობა და პრენატალურ სერვისებზე დაბალი ხელმისაწვდომობა და მიმართვიანობა. (Tsiklauri et al., 2019).

მედიისა და პრენატალური კონსულტაციების როლი

სისტემური მიმოხილვის ფარგლებში განხილულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ორსულთა ინფორმაციის ძირითადი წყაროა ოჯახი, ნაცნობები და ინტერნეტი, მიუხედავად იმისა, რომ ეს ინფორმაცია ხშირად არასანდოა ან არასწორი. პრენატალურ ვიზიტებზე გინეკოლოგთა დიდი ნაწილი ორსულებს არ აწვდის სრულფასოვან და დეტალურ ინფორმაციას რკინადეფიციტური ანემიის შესახებ, რასაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ინფორმირებულობის დაბალი დონის ფორმირებაში (Verulava & Gogua, 2025).

სისტემური რეკომენდაციები ცნობიერების ამაღლებისთვის

აუცილებელია ჯანდაცვის პროვაიდერების ტრენინგი კომუნიკაციის უნარებში, რათა მათ ეფექტურად შეძლონ ინფორმაციის მიწოდება პრენატალურ ვიზიტებზე. საჭიროა საზოგადოებრივი განათლების კამპანიების დაგეგმვა (სოფლებში, ტელემედიცინის გზით) რკინით მდიდარი კვების, აბსორბციის მექანიზმებისა და პრევენციული სკრინინგის შესახებ. ორსულებისთვის გასაგებ ენაზე მომზადებული ბროშურები და ვიზუალური გზამკვლევები უნდა იყოს ხელმისაწვდომი როგორც პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში, ისე სააფთიაქო ქსელებში.

4. ჯანდაცვის სისტემური რეაგირება რკინადეფიციტურ ანემიაზე ორსულებში

რკინადეფიციტური ანემიის მართვის მიმართულებით, საქართველომ სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, თუმცა მისი ადრეული გამოვლენა და ეფექტური პრევენცია კვლავ არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი.

დედათა და ბავშვთა დაცვის სახელმწიფო პროგრამა

2014 წლიდან მოქმედებს სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ორსულთა უზრუნველყოფას რკინის პრეპარატებით. პროგრამის ფარგლებში:

რკინის პრეპარატების გაცემა ხდება მხოლოდ ორსულობის 26-ე კვირიდან, რაც ჯანმოს რეკომენდაციებთან შედარებით დაგვიანებულ ჩარევას წარმოადგენს (MoH, 2022).

კლინიკური პროტოკოლები და მათი ხარვეზები

საქართველოში მოქმედებს რკინადეფიციტური ანემიის ეროვნული პროტოკოლი, რომელიც რეკომენდაციას უწევს ორსულებს პროფილაქტიკის მიზნით რკინის მიღებას 30 მგ დღიურ დოზით მეორე ტრიმესტრიდან. თუმცა, ფერიტინის განსაზღვრა არ წარმოადგენს სავალდებულო ნაწილს სტანდარტული სკრინინგის პროცესში, რაც აფერხებს რკინის დეფიციტის ადრეულ დიაგნოსტიკას (Ghosh et al., 2020).

პრენატალური მომსახურების არასაკმარისი სტანდარტიზაცია

კვლევები ადასტურებენ, რომ პრენატალური მომსახურების ხარისხი არაერთგვაროვანია როგორც რეგიონებს შორის, ისე კლინიკებს შორის. ოჯახის ექიმების სისტემური ჩართულობა

ანემიის პრევენციასა და კონტროლში სათანადოდ არ არის ორგანიზებული. ერთ-ერთ კვლევის მიხედვით, გინეკოლოგთა 100%-მა დაადასტურა, რომ ოჯახის ექიმების როლი ამ პროცესში არის სუსტი და არასათანადოა (Verulava & Gogua, 2025).

არ არსებობს ორსულთა საკონსულტაციო პროცესის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტი, რაც ხელს უშლის სისტემურ მიდგომას განათლების, კვებითი რჩევებისა და სკრინინგის ინტეგრაციის მიმართულებით.

კვებითი პოლიტიკის ნაკლებობა

სოციალური პლატფორმები ნაკლებად ან არ აწარმოებენ ორგანიზებულ საინფორმაციო კამპანიებს, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის ნაკლებობას და მითების გავრცელებას.

მნიშვნელოვანი სისტემური რეკომენდაციები

ფერტილის განსაზღვრა უნდა გახდეს სტანდარტული სკრინინგის ნაწილი ყველა ტრიმესტრში. რკინის პრეპარატების გაცემა უნდა დაიწყოს ადრეული ორსულობიდან, არა მხოლოდ 26-ე კვირიდან. უნდა ჩამოყალიბდეს ერთიანი ორსულთა საკონსულტაციო სტანდარტები, სადაც აქტიურად ჩაერთვებიან ოჯახის ექიმები, დიეტოლოგები და საზოგადოებრივი ჯანდაცვის წარმომადგენლები. საჭირო ხდება ეროვნული კვებითი პოლიტიკის და სახელმწიფო ნუტრიციული პროგრამების შემუშავება.

5. მულტიფაქტორული ჩარევის აუცილებლობა ორსულთა რკინადეფიციტური ანემიის პრევენციასა და მართვაში

რკინადეფიციტური ანემია ორსულებში არ წარმოადგენს ერთმნიშვნელოვნად კვებით ან ჰემატოლოგიურ პრობლემას — იგი არის მულტიფაქტორული მდგომარეობა, რომლის წარმატებული მართვა მოითხოვს ინტეგრირებულ ჩარევას რამდენიმე დონეზე: ინდივიდუალურ, კლინიკურ, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დონეზე.

აუცილებელია სამიზნე ჯგუფზე მორგებული განათლების კამპანიების შემუშავება (მულტიმედია, ოჯახის ექიმების კონსულტაცია); საზოგადოებრივი ჯანდაცვის სერვისებში რკინის საჭიროებასა და კვების როლზე საინფორმაციო პროგრამების ინტეგრირება.

ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა დონეს შორის კოორდინაციის დეფიციტი აფერხებს დროულ დიაგნოსტიკასა და პრევენციას. ოჯახის ექიმები ხშირად არ არიან ჩართული ორსულთა მონიტორინგში (Verulava et al., 2025). საჭიროა:

- ოჯახის ექიმის, გინეკოლოგისა და კვების კონსულტანტის გუნდური მუშაობის სტანდარტიზაცია;
- ელექტრონული ჩანაწერების სისტემაში მონიტორინგის ინტეგრირება;
- მშობიარობის შემდგომი პერიოდის აღრიცხვა და მენეჯმენტი — რკინის დეფიციტის პრევენცია ჩვილებში.

გლობალური გამოცდილება აჩვენებს, რომ მხოლოდ კლინიკური მიდგომა არასაკმარისია. საჭიროა ფართომასშტაბიანი, სახელმწიფოებრივად კოორდინირებული ღონისძიებები:

- ეროვნული ნუტრიციული პროგრამების შემუშავება და დანერგვა;
- მშობიარობის შემდგომ ჰიპლარის დაგვიანებული გადაჭრის (≥ 60 წამი) რეკომენდაცია (WHO, 2024).

ამგვარად, რკინადეფიციტური ანემიის პრევენცია ორსულებში ეფექტური იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩარევა განხორციელდება მულტიფაქტორულად — განათლების, კლინიკური სკრინინგის, კვების, სისტემური კოორდინაციის და პოლიტიკის დონეზე. აუცილებელია, რომ ეს კომპონენტები გაერთიანდეს ერთიან ეროვნულ სტრატეგიაში, რომელიც მორგებული იქნება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ რეალობაზე და დაფუძნებული იქნება მტკიცებულებებზე.

ცხრილი 1. შერჩეული ლიტერატურული წყაროები თემატური კატეგორიების მიხედვით

ავტორი, წელი	ქვეყანა	კვლევის დიზაინი	ძირითადი თემა	ძირითადი მიგნებები	დასკვნა
WHO, 2023	გლობალური	ანგარიშის მიმოხილვა	გლობალური გავრცელება	ორსულთა 40%-ს აქვს ანემია განვითარებად ქვეყნებში	რკინის პრევენცია აუცილებელია მესამე ტრიმესტრამდე
Verulava & Gogua, 2025	საქართველო	ფენომენოლოგიური	ცოდნა და დამოკიდებულება	52%-ს მიაჩნია, რომ ანემია ორსულობის თანმდევია	ინფორმირების დონე დაბალია; საჭიროა საგანმანათლებლო კამპანიები
Tsiklauri et al., 2019	საქართველო	კვლევა-განზომილებიანი	გავრცელება და სოციალური ფაქტორები	ანემია აღენიშნებოდა 39%-ს; განსაკუთრებით სოფლებში	სოციალური პროგრამები არ აღწევს რისკ-ჯგუფებს
MoH, 2022	საქართველო	პოლიტიკის ანალიზი	სახელმწიფო პროგრამები	რკინის პრეპარატები ენიჭებათ მხოლოდ 26-ე კვირიდან	დროის ჩარჩო არ შეესაბამება კლინიკურ რეკომენდაციებს
Ghosh et al., 2020	ინდოეთი	კვლევა	სკრინინგი და დიაგნოსტიკა	ფერიტინის განსაზღვრა ზრდის ადრეულ გამოვლენას	ფერიტინის ტესტირება უნდა ინტეგრირდეს პრენატალურ პაკეტში
Petry et al., 2021	ევროპა	მეტა-ანალიზი	საკვები და აბსორბცია	C ვიტამინი ზრდის რკინის აბსორბციას 2-ჯერ	კვებითი ინტერვენცია ამცირებს რკინადეფიციტის გავრცელებას
Darchia & Beridze, 2016	საქართველო	აღწერით-ანალიტიკური	რკინით გამდიდრებული კვება	ორსულების 68%-ს არ აქვს საკვები ცნობიერება	საჭიროა კვებითი გადილაინების დამკვიდრება
Abu-Ouf & Jan, 2015	საუდის არაბეთი	მიმოხილვა	ფიზიოლოგიური ცვლილებები	სიმპტომები ხშირად ბუნებრივად აღიქმება	კლინიკური განათლება საჭიროა სწორად დასადგენად
UNICEF, 2020	გლობალური	მონაცემთა ანალიზი	კვებითი სტატისტიკა	რკინის დეფიციტი გრძელდება დაბადების შემდეგაც	ჭიპლარის დაგვიანებული გადაჭრა იცავს ახალშობილს
Shulpekova et al., 2022	რუსეთი	მიმოხილვა	რკინის პრეპარატები	ორალური ფორმები ეფექტურია რკინის დეფიციტის სტადიაზე	ინდივიდუალურად შერჩეული მკურნალობა ზრდის ეფექტურობას

დისკუსია

სისტემატური მიმოხილვის შედეგებმა ცხადყო, რომ ორსულთა რკინადეფიციტური ანემია საქართველოში წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას, რომელიც მოითხოვს მულტიდისციპლინურ რეაგირებას. მიუხედავად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა, რკინადეფიციტური ანემიის გავრცელება კვლავ მაღალია, რაც მიანიშნებს პრევენციული მიდგომების არასაკმარის ეფექტიანობაზე.

კვლევის შედეგები ადასტურებს სხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევების მსგავს ტენდენციას, სადაც ანემიის მაღალი პრევალენტობა მჭიდროდ უკავშირდება ორსულების განათლების დაბალ დონეს, არასათანადო კვებას, რკინით მდიდარი საკვების დაბალ ხელმისაწვდომობას და სამედიცინო პერსონალის მხრიდან არაადეკვატურ კონსულტირებას (WHO, 2024; Kassebaum et al., 2014). საქართველოში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ორსულების ნაწილი ანემიას აღიქვამს ორსულობის თანმდევ, ბუნებრივ მდგომარეობად (Verulava & Gogua, 2025), რაც ქმნის დამატებით დაბრკოლებას დროული დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფერიტინის დონის რეგულარულ შეფასებას. როგორც საერთაშორისო კვლევებმა აჩვენა, ფერიტინის განსაზღვრა პრენატალურ სკრინინგში ზრდის რკინი დეფიციტის ადრეული აღმოჩენის ალბათობას (Means et al., 2020), თუმცა საქართველოში ის ჯერ კიდევ არ არის ინტეგრირებული სტანდარტულ პროტოკოლებში.

ოჯახის ექიმები, რომლებიც უნდა ასრულებდნენ ფუნდამენტურ როლს ორსულთა კონსულტირებაში, ხშირად არ არიან პროცესში სათანადოდ ინტეგრირებულნი (Verulava et al., 2025).

განათლების ნაკლებობა ვლინდება როგორც საკვების შერჩევის არასწორ პრაქტიკაში, ასევე რკინის პრეპარატების მიმართ სკეპტიკურ დამოკიდებულებაში, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს პრევენციულ აქტივობებში ჩართულობის დონეს (Peña-Rosas et al., 2015).

კვლევა ხაზს უსვამს არსებული პოლიტიკის მოდერნიზაციისა და მულტიფაქტორული ჩარევის საჭიროებას, სადაც განათლების, სკრინინგის, კვებითი მხარდაჭერისა და სისტემური კოორდინაციის ერთიანი რეაგირება იქნება უზრუნველყოფილი.

დასკვნა

ორსულთა რკინადეფიციტური ანემია წარმოადგენს მნიშვნელოვან საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გამოწვევას. კვლევებმა აჩვენა, რომ ორსულთა დიდი ნაწილი ანემიას აღიქვამს ორსულობის თანმხლებ ბუნებრივ მდგომარეობად, რის გამოც იშვიათად მიმართავენ დროულად სამედიცინო დახმარებას. აღსანიშნავია, რომ ფერიტინის, როგორც ადრეული მარკერის, სკრინინგი პრენატალურ მომსახურებაში სისტემურად არ არის ინტეგრირებული, რაც ზღუდავს ანემიის ადრეულ აღმოჩენასა და მართვას.

ჯანდაცვის სისტემის პირველადი რგოლის, განსაკუთრებით ოჯახის ექიმების, არასათანადო ჩართულობა მნიშვნელოვნად ამცირებს პრევენციული ზომების მიღწევადობას. შესაბამისად, ორსულთა განათლებისა და ცნობიერების დაბალი დონე კიდევ უფრო აფერხებს პრევენციულ ინტერვენციების ეფექტურ განხორციელებას.

კოორდინირებული სტრატეგიების დანერგვა, მათ შორის პირველადი ჯანდაცვის სისტემის გაძლიერება, ფერიტინის სკრინინგის სავალდებულო ჩართვა, საინფორმაციო კამპანიების გატარება და კვებითი პროგრამების მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან, წარმოადგენს აუცილებელ პირობას რკინადეფიციტური ანემიის პრევენციისა და მართვისთვის. აღნიშნული ნაბიჯების თანმიმდევრული განხორციელება მნიშვნელოვნად შეამცირებს რკინადეფიციტური ანემიის გავრცელებას და ხელს შეუწყობს ორსულთა და ახალშობილთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.

რეკომენდაციები

პირველადი ჯანდაცვის გაძლიერება: ოჯახის ექიმების აქტიური ჩართვა ორსულთა სკრინინგში, განათლებასა და რკინის პრეპარატების მართვაში უნდა გახდეს სისტემური

სტანდარტი. ამისთვის საჭიროა დამატებითი ტრენინგების ჩატარება და საორიენტაციო გაიდლაინების შექმნა.

ფერიტინის სკრინინგის დანერგვა: რეკომენდებულია ფერიტინის დონის განსაზღვრა განიხილებოდეს როგორც სავალდებულო კომპონენტი პირველივე პრენატალურ ვიზიტზე, რაც უზრუნველყოფს რკინის დეფიციტის ადრეულ გამოვლენასა და მკურნალობის დროულ დაწყებას.

საგანმანათლებლო კამპანიების გაფართოება: მნიშვნელოვანია ორსულთა ცნობიერების სისტემატური ამაღლება, რომელიც მოიცავს რკინის შემცველი საკვების მნიშვნელობას, მისი შთანთქმის მექანიზმებს და რკინადეფიციტური ანემიის ადრეულ ნიშნებს.

ნუტრიციული პროგრამების დანერგვა: სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ეროვნული კვებითი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ორსულთა კვებითი საჭიროებების დაკმაყოფილებას.

კლინიკური პროტოკოლების გამკაცრება და მონიტორინგი: რკინადეფიციტური ანემიის მართვის პროტოკოლების შესრულების სისტემური მონიტორინგი და დარღვევების შეფასება აუცილებელია სამედიცინო დაწესებულებების ხარისხის კონტროლისთვის.

ინოვაციური ინტერვენციების დანერგვა: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულია ინოვაციური ინტერვენციები, როგორებიცაა ჭიპლარის გადაჭრის დაგვიანება, რაც შემდგომში შეამცირებს რკინის დეფიციტის განვითარების რისკს ჩვილებში. ეს საშუალებას აძლევს ახალშობილს მიიღოს პლაცენტისგან 30-40%-ით მეტი სისხლი, რომელიც შეიცავს დაახლოებით 100 მგ რკინას — საკმარისს რკინის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად პირველი 3-6 თვის განმავლობაში.

გამოყენებული ლიტერატურა

პაპიაშვილი თ., ვერულავა თ. (2024). სტუდენტთა დამოკიდებულება ჯანსაღი კვების მიმართ და მათი კვებითი ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორები. *ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია*, 8(1). <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2024.08.01.01>.

მამნიაშვილი გ. (2024). ბავშვთა კვების პროდუქტების შერჩევა: ნდობა, ღირებულების აღქმა და ყიდვის ქცევა. *ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია*, 8(2). <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2024.08.02.15>

კაპანაძე ნ., ჩილინგარაშვილი ს., თათოშვილი ბ., & ფანჩულიძე თ. (2018). რეგიონებიდან თბილისში სასწავლებლად მიგრირებული სტუდენტების სოციალიზაცია და ჯანმრთელობა . *ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია*, 2. Retrieved from <https://heconomic.cu.edu.ge/index.php/healthecosoc/article/view/6802>

Ghosh, K., Shet, A. S., & Rathi, M. (2020). Iron deficiency and anaemia in pregnancy: Current perspectives. *Indian Journal of Hematology and Blood Transfusion*, 36(1), 1–8.

Kassebaum, N. J., et al. (2014). A systematic analysis of global anemia burden. *The Lancet Haematology*, 1(1), e16–e25.

Means, R. T., & Brodsky, R. A. (2020). Iron deficiency and iron deficiency anemia. In R. A. Brodsky (Ed.), *Hematology: Basic Principles and Practice* (7th ed.). Elsevier.

Petry, N., Olofin, I., Hurrell, R. F., Boy, E., Wirth, J. P., Moursi, M., & Rohner, F. (2021). The proportion of anemia associated with iron deficiency in low, medium, and high human development index countries: A systematic analysis of national surveys. *Nutrients*, 13(10), 3599.

Peña-Rosas, J. P., et al. (2015). Daily oral iron supplementation during pregnancy. *Cochrane Database of Systematic Reviews*, (7), CD004736.

Skhvitaridze, M., et al. (2025). Anemia during pregnancy and adverse maternal outcomes in Georgia. *PLOS One*.

Tsiklauri, R. et al. (2019). Nutrition Status Surveillance System in Georgia. *Acta Scientific Nutritional Health*, 3(10), 03–06.

Tsiklauri, N., Lobjanidze, L., & Dvalishvili, N. (2019). Nutritional deficiencies among pregnant women in Georgia: A cross-sectional survey. *Georgian Medical News*, (296), 52–58.

Verulava, T., Devnozashvili, R. (2021). Nutrition and academic performance among adolescences. *Romanian Journal of Diabetes, Nutrition and Metabolic Diseases*, 28(3):275–283.

Verulava, T., & Gogua, I. (2025). The knowledge, attitude and practices of pregnant women in preventing iron deficiency anemia in Georgia. *One Health & Risk Management*. 6(2), 18–32.

Verulava, T., & Gogua, L. (2025). Iron deficiency anaemia among pregnant women in Georgia: Knowledge, attitudes, and system response. *Journal of Public Health Policy and Practice*, 7(2), 88–97.

UNICEF. (2023). Anaemia in Pregnancy: A Global Review. Retrieved from <https://www.unicef.org>

WHO. (2024). Guideline: Daily iron supplementation in pregnant women. Geneva: World Health Organization.



**პლაცენტის ღრმა ინვაზიის ანტენატალური დიაგნოსტიკა თანამედროვე
ულტრაბგერითი მეთოდებით: კლინიკური შემთხვევის აღწერა**

**Antenatal Diagnosis of Deep Placental Invasion Using Modern Ultrasonographic
Techniques: A Case Report**

<https://doi.org/10.52340/healthecosoc.2025.09.01.13>

ეკატერინე ელიავა^{1,2a}

Ekaterine Eliava^{1,2a}

¹აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი, თბილისი, საქართველო

² სენამედი - დასავლეთ საქართველოს მედიცინისა და პლასტიკური ქირურგიის ცენტრი, სენაკი, საქართველო

¹ Acad. O. Ghudushauri National Medical Center, Tbilisi, Georgia

² Senamed - West Georgia Medical and Plastic Surgery Center, Senaki, Georgia

^a ekaeliava@yahoo.com

<https://orcid.org/0000-0002-5175-2689>

აბსტრაქტი

შესავალი: ბოლო წლებში საკეისრო კვეთების სიხშირის ზრდამ პლაცენტის შეზღუდვის სპექტრის (Placenta Accreta Spectrum – PAS) პათოლოგიების მატებას შეუწყო ხელი. აღნიშნული მდგომარეობა წარმოადგენს ორსულობის დროს წარმოშობილ მძიმე გართულებას როგორც დედის, ასევე ნაყოფის ჯანმრთელობისთვის, რომელიც დაკავშირებულია მიომეტრიუმში ქორიონის ხაოების პათოლოგიურ შეჭრასთან. ნაშრომის მიზანია პლაცენტის ღრმა ინვაზიის დიაგნოსტიკის კლინიკური შემთხვევის, ულტრაბგერითი ტექნოლოგიების დიაგნოსტიკური სარგებლიანობის ანალიზი. **შემთხვევის აღწერა:** პაციენტს (29 წლის, სამჯერ საკეისრო კვეთის ისტორია) ჩაუტარდა გეგმიური სკრინინგული კვლევები ორსულობის 8, 12, 20, 23 და 28+6 კვირებზე. გამოყენებული იყო როგორც სტანდარტული ტრანსვარსალური და ტრანსაბდომინალური ექოსკოპია. Placenta increta დიაგნოსტიკის შემდეგ დამატებით ჩატარდა მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია. დიაგნოზის დადასტურება განხორციელდა ინტრაოპერაციულად და პათომორფოლოგიურად. **შედეგები:** ულტრაბგერითი გამოკვლევებით გამოვლინდა PAS 2 ტიპის მრავალმხრივი ნიშნები: მიომეტრიუმის მკვეთრი გათხელება (<1მმ), პლაცენტარული ლაკუნები, რეტროპლაცენტარული ჰიპერვასკულარიზაცია, აღნიშნულ სეგმენტში პლაცენტის ე.წ. გამობერვა (buldge). ფერადი კარტირებით აღმოჩენილ იქნა პათოლოგიური სისხლმარღვოვანი დეფორმაცია (rail sign), რაც მიუთითებს სისხლმარღვების ინვაზიაზე მიომეტრიუმში. MRI-მ დაადასტურა placenta increta (PAS 2). დაიგეგმა საკეისრო კვეთა და დიაგნოზი დადასტურდა როგორც ოპერაციისას, ისე ჰისტოლოგიურად. **დისკუსია:** წარმოდგენილი შემთხვევა ადასტურებს თანამედროვე ულტრაბგერითი ტექნოლოგიების ეფექტიანობას პლაცენტის ღრმა ინვაზიის დიფერენცირებასა და შეფასებაში. მიღებული შედეგები იძლევა საფუძველს გადაიხედოს ის შეზღუდვები, რაც ადრე არსებობდა ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის მიმართ placenta increta-ს იდენტიფიკაციისას. **დასკვნა:** ძალოვანი დოპლერით მიღებული სისხლის ნაკადის



ვიზუალიზაცია მნიშვნელოვნად აუმჯობესებს პლაცენტის ღრმა ინვაზიის ანტენატალურ დიაგნოსტიკას. ინოვაციური ექოსკოპიური მეთოდები შესაძლოა გახდეს PAS პათოლოგიის სადიაგნოსტიკო ოქროს სტანდარტის მნიშვნელოვანი ნაწილი.

საკვანძო სიტყვები: პლაცენტის შეზრდის სპექტრი (PAS), placenta increta, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა, ტრანსვაგინალური ექოსკოპია, სისხლის ნაკადის დოპლეროგრაფიული ვიზუალიზაცია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია (MRI), საკეისრო კვეთა, ჰისტერექტომია

ციტატა: ეკატერინე ელიავა. პლაცენტის ღრმა ინვაზიის ანტენატალური დიაგნოსტიკა თანამედროვე ულტრაბგერითი მეთოდებით: კლინიკური შემთხვევის აღწერა. ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 2025; 9 (1). <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2025.09.01.13>

Abstract

Introduction: In recent years, the increasing frequency of cesarean deliveries has contributed to the rising incidence of Placenta Accreta Spectrum (PAS) disorders. This condition represents a serious pregnancy-related complication affecting both maternal and fetal health, associated with the pathological invasion of chorionic villi into the myometrium. The aim of this study is to analyze a clinical case of deep placental invasion and assess the diagnostic utility of ultrasonographic technologies. **Case Study:** A 35-year-old patient with a history of three cesarean sections underwent routine antenatal screenings at 8, 12, 20, 23, and 28+6 weeks of gestation. Both standard transvaginal and transabdominal ultrasound examinations were performed. Following the diagnosis of placenta increta, magnetic resonance imaging (MRI) was additionally conducted. The diagnosis was confirmed intraoperatively and through histopathological examination. **Results:** Ultrasound revealed multiple signs of PAS type 2, including significant thinning of the myometrium (<1 mm), placental lacunae, retroplacental hypervascularization, and focal bulging of the placenta in the affected segment. Color Doppler imaging identified abnormal vascular deformation (rail sign), indicating vascular invasion into the myometrium. MRI confirmed the diagnosis of placenta increta (PAS 2). A planned cesarean section was performed, and the diagnosis was confirmed both intraoperatively and histologically. **Discussion:** This case demonstrates the effectiveness of modern ultrasonographic technologies in differentiating and evaluating deep placental invasion. The findings support a re-evaluation of previous limitations regarding the role of ultrasound in identifying placenta increta. **Conclusion:** Visualization of blood flow using power Doppler significantly enhances the antenatal diagnosis of deep placental invasion. Innovative ultrasonographic techniques may become an important component of the diagnostic gold standard for PAS disorders.

Keywords: Placenta Accreta Spectrum (PAS), placenta percreta, ultrasound diagnosis, transvaginal ultrasonography, stereoscopic blood flow visualization, magnetic resonance imaging (MRI), maternal complication, cesarean section, hysterectomy.

Quote: Ekaterine Eliava. Antenatal Diagnosis of Deep Placental Invasion Using Modern Ultrasonographic Techniques: A Case Report. Health Policy, Economics and Sociology, 2025; 9 (1). <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2025.09.01.13>

შესავალი

შეზრდილი პლაცენტა ორსულობის მძიმე მდგომარეობაა. პათოლოგია ვითარდება მაშინ, როდესაც სისხლძარღვები და პლაცენტას ქსოვილი საშვილოსნოს კედელში სიღრმისეულად იზრდება.

ტერმინი "შეზრდილი პლაცენტა" მსოფლიოში ცნობილია 1937 წლიდან, როდესაც პირველად C. Irving-მა და A.T. Hertig-მა იგი აღწერეს, როგორც "პლაცენტის არასრულად ან სრულად არანორმალური მიმაგრება საშვილოსნოს კედელზე" (Irving & Hertig, 1937). თუმცა, შეზრდილი პლაცენტა პირველად აღწერა კანადელმა სპეციალისტმა D.S. Forster-მა, რომელმაც 1927 წელს პირველად გამოაქვეყნა placenta accreta-ს შემთხვევა PubMed-ში (Forster, 1927).

ბოლო წლებში გადახედილ იქნა აღნიშნული პათოლოგიის ტერმინოლოგიისა და კლასიფიკაციის ვერსიები. ამჟამად მთელ მსოფლიოში დანერგილია ახალი, საკმაოდ ზუსტი

ტერმინოლოგია — პლაცენტის შეზრდის სპექტრის დარღვევები (placenta accreta spectrum, PAS). ის მოიცავს პლაცენტის ანომალური დარღვევის ყველა სახეს: ანომალურად შეზრდილ პლაცენტას (placenta accreta), ისე ანომალურად ინვაზიურ პლაცენტას (AIP — abnormally invasive placenta, რომელიც მოიცავს placenta accreta + increta + percreta) (Morlando & Collins, 2020).

წლების განმავლობაში ფართოდ გამოიყენებოდა პლაცენტის შეზრდის სპექტრის დარღვევების (placenta accreta spectrum, PAS) ტრადიციული კლასიფიკაცია (Jauniaux et al., 2016):

- **Placenta accreta** — ნაწილობრივი მჭიდრო შეზრდა, სადაც ქორიონის ხაოები აღწევენ მომენტრიუმს, თუმცა არ აზიანებენ კუნთოვან ქსოვილს;
- **Placenta increta** — ქორიონის ხაოების შეჭრა მომენტრიუმის სიღრმეში, რომელიც იწვევს მისი სტრუქტურის დაზიანებას და არ არღვევს სეროზულ გარსს;
- **Placenta percreta** — ქორიონის ხაოების შეჭრა მომენტრიუმის ყველა ფენაში, სეროზულ გარსში, პარამეტრიუმში, პერიტონეუმში ან იშვიათად მეზობელ ორგანოებში (შარდის ბუშტი, ნაწლავები).

დღევანდელი მდგომარეობით პლაცენტის შეზრდის სპექტრის (PAS) კლასიფიკაციის "საბოლოო" ვარიანტად მიჩნეულია საერთაშორისო გინეკოლოგიისა და მეანობის ფედერაციის (FIGO) ვერსია (Morlando & Collins, 2020), რომელიც შეიცავს შემდეგ ვარიანტებს:

- **PAS 1** – პლაცენტის ანორმალური მიმაგრება (placenta adherent ან creta);
- **PAS 2** – პლაცენტის ანორმალური ინვაზია (increta);
- **PAS 3** – პლაცენტის ანორმალური ინვაზია (percreta).

შეზრდილი პლაცენტის ეტიოპათოგენეზი დღემდე ბოლომდე არ არის შესწავლილი. ერთ-ერთი ჰიპოთეზის მიხედვით, პლაცენტარული ქსოვილის საშვილოსნოს კედელში შეჭრა დაკავშირებულია დეციდუალიზაციის დეფექტთან (decidua basalis-ის არარსებობა ან არასრული ფიბრინოიდული შრის განვითარება), მუცლის სისხლძარღვების არანორმალურ გესტაციურ ზრდასთან და ტროფობლასტის ჭარბ ინვაზიასთან, რაც ხშირად უკავშირდება საშვილოსნოზე ჩატარებულ ქირურგიულ ჩარევებს.

პლაცენტის შეზრდა შეიძლება იყოს:

- სრული – ხაოების შეჭრა მომენტრიუმში პლაცენტის მთელი მიმაგრების ზედაპირით;
- ნაწილობრივი – შეჭრა მხოლოდ ცალკეულ უბნებში.

ბოლო 40 წლის განმავლობაში საკეისრო ოპერაციების სიხშირე 20%-ზე მეტით გაიზარდა, ხოლო შეზრდილი პლაცენტის (პლაცენტა აკრეტა) შემთხვევებმა 10-ჯერ მოიმატა (Sokheim et al. 2011).

შეზრდილი პლაცენტის გავრცელება, კვლევების მიხედვით, მერყეობს 1:500-დან 1:10,000 მშობიარობამდე. სრული შეზრდა განსაკუთრებით იშვიათია — დაახლოებით 1 შემთხვევა 24,506 მშობიარობაზე (Armstrong & Harding, 2004; Chalubinski et al., 2013).

პლაცენტის შეზრდის სპექტრის დარღვევები (PAS) შემთხვევების 15-20%-ში გვხვდება, აქედან აკრეტა 60-75%; ინკრეტა - 15-20%, პრეკრეტა - 5-10%.

არსებობს პირდაპირი კავშირი შეზრდის რისკსა და შემდეგ ფაქტორებს შორის:

- ქალის ასაკი,
- საშვილოსნოზე ჩატარებული ოპერაციები,
- პლაცენტის წინმდებარეობა.
- საშვილოსნოს ანომალიები;
- საშვილოსნოს ღრუს დეფორმაციები, ადჰეზიები, სინეკიები..

მაგალითად, წინმდებარე პლაცენტის მქონე ორსულში, რომელსაც არ ჰქონია ოპერაცია საშვილოსნოზე, შეზრდის რისკი შეადგენს დაახლოებით 3–5%-ს. ერთი საკეისროს შემდეგ რისკი იზრდება 11–24%-მდე და აღწევს 67%-ს ოთხი ან მეტი საკეისროს შემდეგ (Flesher et al., 2005).

მდგომარეობის სირთულე განპირობებულია მისი სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი ხასიათით — მას ხშირად ახლავს მასიური სისხლისდენა და საჭიროებს ინტენსიურ

ტრანსფუზიულ თერაპიას. შეზრდილი პლაცენტით გამოწვეულ სისხლდენასთან დაკავშირებული ლეტალობა მერყეობს 7%-დან 52%-მდე.

დიაგნოსტიკა

ბოლო ათწლეულების განმავლობაში შეზრდილი პლაცენტის დიაგნოსტიკის ალგორითმი რადიკალურად შეიცვალა. D.S. Forster-ის, C. Irving-ისა და A.T. Hertig-ის დროს ეს პათოლოგია მხოლოდ მაშინ იდენტიფიცირდებოდა, როცა მშობიარობის შემდეგი პერიოდი გართულებით მიმდინარეობდა — კერძოდ, პლაცენტის გამოყოფის სირთულეებით ან შეუძლებლობით, რასაც თან სდევდა საშვილოსნოს ძლიერი სისხლდენა.

დღეს პლაცენტის შეზრდის დიაგნოსტიკის ძირითადი მეთოდია ექსკოპია (ულტრაბგერითი გამოკვლევა) (Jauniaux & Bhide, 2017; Jauniaux et al. 2019).

F. D'Antonio-ს მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, 3070 ორსულში, რომლებიც იყვნენ პლაცენტის შეზრდის სპექტრის (PAS) რისკის ქვეშ, ულტრაბგერითი გამოკვლევის მგრძნობელობა იყო 90.72% (95% სარწმუნოების ინტერვალი: 87.2–93.6), ხოლო სპეციფიკურობა – 96.94% (95% სარწმუნოების ინტერვალი: 96.3–97.5) (D'Antonio et al., 2013).

ულტრაბგერით გამოვლენილი ნიშნები:

- პლაცენტასა და საშვილოსნოს კედელს შორის ექონეგატიური ე.წ. "გამჭვირვალე ზონის" არარსებობა,
- პათოლოგიური სისხლძარღვოვანი ლაკუნების არსებობა სუბპლაცენტარულ და მიმდებარე მიომეტრიუმში, ტურბულენტური სისხლის ნაკადით,
- საშვილოსნოსა და შარდის ბუშტს შორის საზღვრის არარსებობა ან დარღვევა.

ფერადი დოპლერით გამოსახვის რეჟიმის გამოყენება სავალდებულოა დიაგნოზის დასასმელად, რაც ამცირებს ცრუ დადებითი დიაგნოზების რისკს. ძირითადი კრიტერიუმებია:

- შარდის ბუშტსა და საშვილოსნოს შორის ზონის ჰიპერვასკულარიზაცია,
- პლაცენტის ქვეშ სისხლძარღვების პათოლოგიური განშტოება,
- მიომეტრიუმის ლაკუნას მიდამოში არტერიული, ვენური და შერეული სისხლის ნაკადის არსებობა 15 სმ/წმ-ზე მეტი სისტოლური სიჩქარით და დაბალი წინააღმდეგობით (Shih et al. 2009; Comstock, 2005).

დასავლურ ლიტერატურაში ხშირად იწერება შეზრდილი პლაცენტის ანტენატალური დიაგნოსტიკის შემთხვევებზე, თუმცა ქართულენოვან ლიტერატურაში აღნიშნული შემთხვევები ცოტაა. წინამდებარე სტატია წარმოადგენს ავტორის პირად კლინიკურ დაკვირვებას - შეზრდილი პლაცენტის ულტრაბგერით დიაგნოსტიკაზე.

კლინიკური შემთხვევა

პაციენტი დ., 29 წლის, ანამნეზში აღენიშნება სამი ჩატარებული საკეისრო კვეთა (2014, 2017 და 2025 წწ.). სომატური ანამნეზი მძიმეა და მოიცავს ქრონიკულ პიელონეფრიტსა და შარდკენჭოვან დაავადებას.

ჩაუტარდა გეგმიური სკრინინგული კვლევები ორსულობის 8, 12, 20, 23 და 28+6 კვირებზე. გამოყენებული იყო სტანდარტული ტრანსვარგინალური და ტრანსაბდომინალური ექსკოპია. Placenta increta დიაგნოსტიკის შემდეგ დამატებით ჩატარდა მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია. დიაგნოზის დადასტურება განხორციელდა ინტრაოპერაციულად და პათომორფოლოგიურად.

8 კვირაზე აღმოჩნდა სანაყოფე პარკის პირველი ხარისხის ინვაზია ნაწიბურთან.

ორსულობის 12-13 კვირის ვადაზე დადგინდა: პლაცენტა ლოკალიზდება საშვილოსნოს წინა კედელზე ქვედა სეგმენტში, ფარავს პოსტოპერაციული ნაწიბურის მედიალურ ზედაპირს, გადადის ენდოცერვიკალური არხის შიდა პირის დონეზე და ფარავს მას - პლაცენტის წინმდებარეობა.

12 კვირის სკრინინგულ კვლევაზე გამოვლინდა პლაცენტის წინმდებარეობა და პლაცენტის ნაწილობრივი ინვაზია რეზუალურ მიომეტრიუმში. პაციენტი რიკ ჯგუფად პლაცენტაციის ანომალიებზე (მოსალოდნელ გართულებებზე პაციენტი ინფორმირებული იყო).

19 კვირის ვადაზე სკრინინგულ გამოკვლევაზე დაფიქსირდა პლაცენტის წინმდებარეობა. ამ ვადაზე პოსტოპერაციული ნაწიბურის სისქე შეადგენდა 3.2 მმ-ს; ლაკუნარული სივრცეები გაფართოებულია, პლაცენტა ჰიპერვასკულარიზებულია, რეტროპლაცენტარული ვასკულარიზაცია გაძლიერებულია. აღნიშნული ნიშნები მიუთითებს პლაცენტა ინკრეტას პათოლოგიას.

24 კვირის ვადაზე პლაცენტის წინმდებარეობა მიომეტრიუმის სტრუქტურა ვერ შეფასდა, რადგან პლაცენტა სრულიად ინვაზირებულია მასში, სეროზული გარსი მთელი, ენდოცერვიკალური არხი დახურული, სიგრძე 40 მმ. FIGO კლასიფიკაციით დადგინდა PAS 2.

ორსულობის 28+6 კვირის ვადაზე, ტრანსვაგინალური სკანირებით გამოვლინდა პლაცენტის შეჭრა საშვილოსნოს ყელის ზედა მესამედში და ცერვიკალურ არხში — PAS 3a.

დამატებით დოპლეროგრაფიის გამოყენებამ საშუალება მოგვცა სისხლძარღვოვანი ხიდების (rail sign) იდენტიფიკაციის, რომლებიც მიომეტრიუმიდან გადადიოდნენ სეროზულ გარსში. ეს ნიშნავდა, რომ ადგილი ჰქონდა placenta increta-ს (PAS 2).

შემდგომში ჩატარებულმა მაგნიტურ-რეზონანსულმა ტომოგრაფიამ (MRI) აჩვენა პლაცენტის სრული წინმდებარეობა, მისი პათოლოგიური ზრდა ნაწიბურში, მიომეტრიუმის ყველა შრეში.

სისხლის ნაკადის დოპლეროგრაფიული შეფასება წარმოადგენს რეალურ ინსტრუმენტს პლაცენტის პათოლოგიური ინვაზიის ხარისხის შეფასებისთვის.

დისკუსია

წარმოდგენილი კლინიკური შემთხვევა ადასტურებს თანამედროვე ულტრაბგერითი ტექნოლოგიების ეფექტიანობას პლაცენტის ღრმა ინვაზიის დიაგნოსტიკაში. მიუხედავად იმისა, რომ წარსულში E. Jauniaux და თანაავტორები მიუთითებდნენ ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის შეზღუდულობაზე placenta increta-ს სიღრმის დადგენაში (Jauniaux et al., 2018).

აღსანიშნავია, რომ placenta percreta-ს ადრეული დიაგნოსტიკა კრიტიკულად მნიშვნელოვანია როგორც დედის ასევე ნაყოფის სიცოცხლის გადასარჩენად ოპერაციული სტრატეგიის წინასწარ განსაზღვრისთვის (D'Antonio et al., 2013). ამიტომ, კლინიკურ პრაქტიკაში ულტრაბგერითი კვლევა ორსულობის ყველა ეტაპზე მნიშვნელოვნად აუმჯობესებს PAS პათოლოგიების მართვის შესაძლებლობებს და კეთილსაიმედო გამოსავალს.

დასკვნა

ბოლო ოთხი ათწლეულის განმავლობაში პლაცენტის შეზრდის შემთხვევების ზრდამ მკვეთრად გამძაფრა ორსულობის ამ პათოლოგიის დროული და ზუსტი დიაგნოსტიკის საჭიროება. placenta accreta spectrum (PAS) პათოლოგიების პრევალენტობა მნიშვნელოვნად გაიზარდა საკეისრო კვეთების სიხშირის პარალელურად. თანამედროვე კლასიფიკაციებმა, მათ შორის FIGO-ს მიერ შემოთავაზებულმა სტრუქტურამ, ხელი შეუწყო PAS-ის სხვადასხვა ფორმების სისტემურ აღწერასა და კლინიკურ მართვას.

წარმოდგენილი კლინიკური შემთხვევა ცხადყოფს, რომ ულტრაბგერითი გამოკვლევა, მათ შორის ტრანსვაგინალური სკანირება და დოპლეროგრაფია წარმოადგენს ეფექტიან და ხელმისაწვდომ ინსტრუმენტს პლაცენტის პათოლოგიური ინვაზიის ხარისხის შეფასებისთვის. აღნიშნული მეთოდებით შესაძლებელია placenta increta-სა და percreta-ს ადრეული იდენტიფიკაცია, რაც გარდამტეხია როგორც დედის, ისე ნაყოფის სიცოცხლის გადასარჩენად.

მიღებული შედეგები ხაზს უსვამს ულტრაბგერითი მეთვალყურეობის მუდმივი საჭიროების მნიშვნელობას მაღალი რისკის ორსულებში და ცხადყოფს, რომ PAS-ის მართვაში ინოვაციური ექოსკოპიური ტექნოლოგიების ინტეგრირება უნდა იქცეს სტანდარტულ კლინიკურ პრაქტიკად.

გამოყენებული ლიტერატურა


1. American College of Obstetricians and Gynecologists; Society for Maternal-Fetal Medicine. Obstetric care consensus. № 7. Summary: Placenta accreta spectrum // Obstet Gynecol. 2018; 132 (6): 259–275.

2. Armstrong C, Harding S. Is placenta accreta catching up with us? Australian and New Zealand Journal of Obstetrics and Gynaecology 2004; 44 (3): 210–213.
3. Chalubinski KM, Pils S, Klein K, Seemann R, Speiser P, Langer M, Ott J. Prenatal sonography can predict degree of placental invasion. Ultrasound Obstet Gynecol 2013; 42: 518–524.
4. Collins SL, Ashcroft A, Braun T, et al. Proposal for standardized ultrasound descriptors of abnormally invasive placenta (AIP). Ultrasound Obstet Gynecol. 2016;47(3):271–275.
5. Comstock CH. Antenatal diagnosis of placenta accreta: a review. Ultrasound Obstet Gynecol 2005; 26 (1): 89–96.
6. D'Antonio F., Iacovella C., Bhide A. Prenatal identification of invasive placentation using ultrasound: systematic review and meta-analysis // Ultrasound Obstet Gynecol. 2013; 42 (5): 509–517.
7. Forster D.S. A case of placenta accreta // Can Med Assoc. J. 1927; 17: 204–207.
8. Irving C., Hertig A.T. A study of placenta accreta // Surg Gynecol Obstet. 1937; 64: 178–200.
9. Jauniaux E., Bhide A. Prenatal ultrasound diagnosis and outcome of placenta previa accreta after cesarean delivery: a systematic review and meta-analysis // Am J Obstet Gynecol. 2017; 217 (1): 27–36.
10. Jauniaux E., Collins S.L., Jurkovic D., Burton G.J. Accreta placentation: a systematic review of prenatal ultrasound imaging and grading of villous invasiveness // Am J Obstet Gynecol. 2016; 215 (6): 712–721.
11. Jauniaux E., Alfirevic Z., Bhide A.G. et al. Placenta praevia and placenta accreta: diagnosis and management. Green-top Guideline № 27a. // BJOG. 2019; 126 (1): 1–48.
12. Jauniaux E., Ayres-de-Campos D., Langhoff-Ross J. et al. FIGO classification for the clinical diagnosis of placenta accreta spectrum disorders // Int J Gynecol Obstet. 2019; 146 (1): 20–24.
13. Lim PS, Greenberg M, Edelson MI, Bell KA, Edmonds PR, Mackey AM. Utility of MRI in the diagnosis and management of placenta accreta spectrum disorders: A systematic review. AJR Am J Roentgenol. 2011;197(2):468–475.
14. Morlando M., Collins S. Placenta Accreta Spectrum disorders: challenges, risks and management strategies // Int J Womens Health. 2020; 12: 1033–1045.
15. Shih JC, Palacios Jaraquemada JM, Su YN, et al. (2009). Role of three-dimensional power Doppler in the antenatal diagnosis of placenta accreta: compare on with gray scale and color Doppler techniques. Ultrasound Obstet Gynecol 33 (1): 193–203.
16. Sokheim K.N., Esakoff T.F., Little S.E. et al. The effect of cesarean delivery rates on the future incidence of placenta previa, placenta accreta, and maternal mortality // J Matern Fetal Neonatal. Med. 2011; 24 (11): 1341–1346.
17. Stephens A.J., Barton J.R., Bentum N.A. et al. General guidelines in the management of an obstetrical patient on the labor and delivery unit during the COVID-19 pandemic // Am J Perinatol. 2020; 37 (8): 829–836.


ნახატი 1: ორსულობის 12-13 კვირა




ნახატი 2: ორსულობის 12-13 კვირა



ნახატი 3: ორსულობის მე-20 კვირა



ნახატი 4: ორსულობის მე-20 კვირა



ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია

Health Policy, Economics and Sociology

ჟურნალის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ჟურნალის ვებ-გვერდზე:
<https://heconomic.cu.edu.ge>

ელ ფოსტა: tverulava@cu.edu.ge

The online version of the journal is available on the website: <https://heconomic.cu.edu.ge>
Email: tverulava@cu.edu.ge

რედაქციის მისამართი: პაატა სააკაძის ქ. 1, ქ.თბილისი 0102, საქართველო
Address: Paata Saakadze St. 1, Tbilisi 0102, Georgia

PRINT ISSN 2449-2469

ONLINE ISSN 2346-7983